სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 1 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი (ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: [illegible] пр. 199, Редакція „Эртоба", სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 235 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 235

გულ დათუთქულნი დედა თებრონე ესტატეს ასული ქანთარიასი, ძმა სოლომონ, დები: მარია და გალინა, ელენე ლომაძისა და ლიდა ორაგველიძისა, ბიძაშვილები: ანთიმოზ და დომენტი, ბიცოლა ფიდოსი, სიძეები ბესარიონ ლომაძე და ერმალო ორაგველიძე, დისწულები: ქიჭიკო, თამარა და ქეთევან ლომაძეები, ბესარიონ ორაგველიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას მათთვის ძვირფასის

პლატონ იოსების ძის ქანთარიას

პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნა ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, ს. ზემო აკეთში, წმ. გიორგის ეკლესიაში.

გულ დათუთქულნი დედა თებრონე ესტატეს ასული ქანთარიასი, ძმა სოლომონ, დები: მარია, გალინა, ელენე ლომაძისა და ლიდა ორაგველიძისა, ბიძაშვილები: ანთიმოზ და დომენტი, ბიცოლა ფიდოსი, სიძეები: ბესარიონ ლომაძე, ერმალო ორაგველიძე, დისწულები: ქიჭიკო, თამარა და ქეთევან ლომაძეები და ბესარიონ ორაგველიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 8 აპრილს მ. ოჩემჩირესთან ოსმალებთან შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა

სილო იოსების ძე ქანთარია

პანაშვიდი გადახდილ იქნა ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, სოფ. ზემო აკეთში, წმ. გიორგის ეკლესიაში

ღრმად დამწუხრებული ძმა შალიკო და ბიძაშვილი დომენტი მღვდელაძეები, ამხანაგები აჩიკო და ვალიკო კრესელიძეები და ილიკო გოგშელიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

დიმიტრი თედორეს ძე მღვდელაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც გარდაიცვალა 12 ღვინობისთვეს სამხედრო საავადმყოფოში.

ნინა ვლადიმერის ასული და იოსებ მ ხეილის ძე დონჯაშვილები, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი მათი დაიკო

ლიზიკო ბესარიონის ასული მახარობლიძისა.

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათ. მატინოვის ქუჩა № 6., ბინა № 6. (2—1)

ალექსანდრა ილიას ასული ფვახარია, შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 30 ს ღვინობისთვეს დილის 9 ნახ. საათზე გარდაიცვალა მათი ძვირფასი ქალი და—და

ელისაბედ ვლადიმერის ასული მახარობლიძისა.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა შაბათს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში 9 ნახ. საათ. მატინოვის ქუჩა № 6, ბინა № 6. (2—1)

გულ დათუთქული მიხეილ პეტრეს ძე ლაზარეტყვა, თავის პაწია შვილებით, აუწყებს ნაცნობ ნათესავებს თავის საყვარელი მეუღლის

ელისაბედი დიომიდეს ასულ უჩანეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 31 ოქტომბერს, მარტვილის მონასტერში.

ცოლი მანადარა, ძმა გერმანე, რძალი დუჩნა, შვილები აპოლონ და კესარია, ბიძაშვილი იოსები მარშანიები, ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 30 ამა თვეს გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მათი საყვარელი

ქრისტეფორე დიმიტრის ძე მარშანია

გამოსვენება და დასაფლავება პარასკევს, 1 ელ ნოემბერს რკინის გზის საავადმყოფოდან დღის 3 საათზედ.

გულდათუთქული ილია სტეფანეს ძე თარგამაძე, მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის საყვარელი მეუღლის

ნუცას

სული [illegible] ნებლად შესრულებულ იქნება სოფ. კვახჭირში (სად. რიონი [illegible] ლესიაში, შაბათს 2 ნოემბერს, დასაწყისი წირვის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

[illegible] და სამსონ ლევანის ძე ურუშაძე ღრმა მწუხარებით [illegible] ნაცნობთ, რომ მეორმოცე დღის წირვა და [illegible] ფასი პირველის დისწულის და, მეორესი ცოლის დის შვილის

ნუცა [illegible] ძის ასული თარგამაძის

სულის მოსახსენე[illegible] სოფ. კვახჭირში (ად. რიონი) შაბათს, 2 ნოემბერს, წირვის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე,

[illegible] ლი ფხაკაძე აუწყებს, ნათე[illegible] მწუხარებით მოცული [illegible] სავთ და ნაცნობთ, რომ [illegible] რვა და პანაშვიდი, თავის

ნუცა იასონ ჩხიკვა[illegible] თარგამაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი [illegible] ნოემბერს სოფ. კვახ[illegible]ჭირში (სად. რიონი) ქვაშვეთის ეკლე[illegible] წირვისა [illegible] დილის 10 საათზე, პანაშვიდ[illegible]

ლანჩხუთის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელი [illegible] თ აუწყებს ნაცნობთ და მეგობართ, რომ მეორმოცე დღი[illegible] დაცვალე[illegible]ბული ამხანაგის

ნინა იასონის ასულის თარ[illegible]ძის

სულის მოსახსენებლად [illegible] ქ. ლანჩხუთში 2 ნოემბერს, [illegible] 12 საათზე

[illegible] ლანჩხუთის ქალთა გიმნაზიის მოწაფეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნა[illegible] ებს, რომ მეორმოცე დღის პანაშვიდი [illegible] საყვარელი და [illegible] დაუვიწყარი მასწავლებლის

ნუცა იასონ[illegible] ჩხიკვაძის ასულის თარგამაძის

[illegible] და [illegible] წნულია ქ. ლანჩხუთის წმ. გიორგის [illegible] შაბათს, 2 [illegible] ემბერს, დილის 12 საათზე.

შაბათს, 2 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე

სახალხო სახლში დანიშნულია სხდომა თფ. მუშათა და ჯ.-კაცთა დეპ. საბჭოსი.

დღის წეს-რიგი:

## საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველოს რესპუბლიკა.

მომხსენებელნი ირ. გ. წერეთელი და ევ. პ. გეგეჭკორი.

## სომხეთ-საქართველოს დავის გამო

სომხეთ საქართველოს სანაპიროს დავამ, რომელიც ჩვენი დემოკრატიის გონიერი მოქმედებით სისხლის დაუღვრელათ გათავდა, მთელი რიგი საკითხები წამოაყენა.

სომხეთი გვედავება ლორის, ბამბაკს და სხვა კუთხეებს, სადაც კი სომხები სახლობენ. იგი თხოულობს, რომ ამ ნაკვეთებს თვითგამორკვევის უფლება მიეცეთ.

ბურჟუაზიული პრესა, სომხური და რუსული ორიენტაციის ყველა გაზეთები უეცრათ უკიდურესი დემოკრატიზმის სამოსელში გამოეხვიენ და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მიუყენეს მაზრის ნაწილებს, სოფლებს, საბოქაულოებს ერთი სიტყვით თვითეულ ნაჭერ მიწას, რომელიც და როგორც კი მოეხასიათათ.

თავისთავათ ცხადია ასეთი დაყენება საკითხის მხოლოდ გამასხარავებაა დემოკრატიზმის პრინციპის, ბურჟუაზიულ და მოსყიდულ პრესისაგან სხვაგვარ საქციელს არც კი მოველოდით. მათი მიზანი აშკარაა: ესაა საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ხელის შეშლა, დანგრევა.

იგინი ამ მიზნით ყოველგვარ დამრღვეველ ძალას უერთდებიან, თვით ბოლშევიკებს და ალექსეეველებსაც კი ერთსა და იმავე დროს. გარეთ ყველა მეზობლებს პრეტენზიებს ექომაგებიან, თუ კი ეს პრეტენზიები საქართველოს საზღვრების მოშლის, მოსპობის და თვით მის არსებობას შეუძლებლათ გახდის.

სახელმწიფო ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზმია, ერთსა და იმავე დროს. იგი უნდა მთელი იყოს რამდენათაც შეიძლება ეკონომიურათ და ბუნებრივ საზღვრებში მოთავსებული პოლიტიკურათ, რათა ღია კარებმა არ წალეკოს მისი ყოველი შემოქმედება და თვით არსებობაც კი. და აი ჩვენი ქვეყნის სანაპირო ადგილების საკითხიც სწორედ ასეთი საკითხია. საქართველოს არ შეუძლია არსებობა, თუ მას არ ექნა ისეთი საზღვრები, რომელიც თვით გეოგრაფიულ და ისტორიულ პირობებს შეუმუშავებია.

მაშასადამე საქართველოს დემოკრატიის ბედი, ბედი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის, ამ საზღვრებთან დიდი და რთული ძაფებით არის გადახლართული. ჯერ კიდევ რუსეთის თვითმპყრობელობამ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და იგი შეეცადა ამიერ-კავკასია აეჭრელებია, ერები ერთი მეორეში აერია იმდენათ, რომ მათი გამიჯვნა და ცალკე ტერიტორიალურ ერთეულებში ჩამოყალიბება შეუძლებელი გამხდარიყო.

საქართველოს დედა ქალაქი თფილისი მან ინტერნაციონალურ ქალაქათ აქცია, მის გარშემო ადგილებიდან, რომელიც ქართველ სახელმწიფოს ეკუთვნოდა—სხვადასხვა ტომის და ერის კოლონიები შექმნა, თვით ლორი, ბამბაკი, ჯავახეთი, თფილისის მაზრის ნაწილები, შავი ზღვის პირი და სხვა.—ყველა ეს კუთხეები არა ქართველი ელემენტით განზრახ დაასახლა. ამით უნდა მოესპო ყოველი მომავალი საქართველოსათვის.

თვითმპყრობელობისაგან ჩვენ ასეთი პოლიტიკა არც გვიკვირს. იგი ერებს ანადგურებდა თავის ბიუროკრატიულ ბატონობის გასამტკიცებლათ. ამ მიზნით გამოიყენა სოლეხი, ბერძენი და სხვა კოლონისტები. ამ საშუალებით აჭრელა ტერიტორია საქართველოში, მაშინ, როდესაც თვით ქართველ ერს უმიწობით სული ხდებოდა და მრავალი კავკასიის ქედს იქით გარბოდა ნაჭერი მიწის საშოვნელად ან სამუშაოდ.

ასე იყო ბოროტი განზრახვა და შხამიანი ხელი თვითმპყრობელობის. და ეს უკუღმართობა ბიუროკრატიის, ეს ისტორიული ბოროტება თვითმპყრობელობის—დღესაც ცოდვის კითხვით აწევს ამიერ-კავკასიის ერებს.

ჩვენ ყოველთვის აღგვინიშნავს ეს მაკიაველისებური პოლიტიკა რუსეთის ცარიზმისა და ყოველთვის სასტიკი პროტესტით შევხვედრივართ მას.

მაგრამ ჩვენ არასოდეს არ აგვიტეხია განგაში იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც თვითმპყრობელობა თვის ბოროტ განზრახვის იარაღათ იყენებდა. პირიქით, ჩვენი ქართველ ნაციონალისტების ასეთ ტენდენციებს სასტიკათ ვებრძვით. ჩვენს ერს ამით ნაციონალიზმის შხამი თავიდან ავაშორეთ. მას ცარიზმი შევაზიზღეთ, მეზობელი ერებისადმი კი სოლიდარობის გრძნობა გავუძლიერეთ. არც რუსის გლეხი, არც სომეხი, არც ბერძენი ჩვენში არც წინეთ, არც დღეს არ გრძნობს თავს დევნილათ, არამედ სრულ უფლებიან, თანასწორ მოქალაქეთ.

მაგრამ დღეს ჩვენ შევეხეთ მეორე მოვლენას: სომხის და სხვა ერების ნაციონალისტ-შოვინისტების პოლიტიკას: ბ. ჯამალიანის ნოტიდან, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა გაზეთებში, სჩანს, რომ ეს წარმომადგენელი სომხეთის მთავრობისა ჩვენში ახლა თვითონაც აპირებს ცარიზმის პოლიტიკის გაგრძელებას.

მას და მის პარტიას ამის საგნათ ლტოლვილთა საკითხი გაუხდიათ. მათი დასახლება საქართველოს ტერიტორიაზე მიზნათ აქვთ დასახული და ამ განზრახვას არც კი მალავენ. პირიქით, ჩვენგან მოითხოვენ, მათი ცარიზმის პოლიტიკა მივიღოთ და მას დავემორჩილოთ.

შოვინისტების ბუნება ყველგან ერთია დიდ ერშიც და პატარაშიც. პატარა დაშნაკცუტიუნიც ასე აპირებს საქართველოს ტერიტორიის ხელოვნურათ აჭრელებას, როგორც ეს მეფის მთავრობას სჩვევოდა, მაგრამ აპირებს ერთა სოლიდარობის და დემოკრატიზმის სახელით.

მაგრამ საქმე სახელში კი არ გახლავთ, არამედ საზრავში. ბ-ნ ჯამალიანის მთავრობა დემოკრატიული საფარველით ცარიზმის ბოროტი პოლიტიკის განაგრძობას ფიქრობს და ჩვენ ამასაც უნდა ისეთივე სასტიკი პროტესტით შევხვდეთ, როგორც ცარიზმს ვეგებებოდით.

საქართველოს დემოკრატია ბოლშევიკების გამაბრუებელ ფრაზეოლოგიას და ლამაზ სიტყვებს არ დაუბრმავებია და ჯამალიანების „დემოკრატიზმი“ მით უმეტეს ვერ შეიყვანს შეცდომაში...

საქართველოს დემოკრატია წინააღმდეგია ხელოვნურათ ისეთ პირობების შექმნის, როცა ერი ერს უპირდაპირდება, ტომი ტომს და ნაციონალურ შუღლს და მტრობას ნიადაგი ეძლევა... სომეხ-თათართა ურთიერთობის გადმონერგვა სომეხ-ქართველთა შორის შეიძლება დაშნაკცუტიუნს ეინტერესებოდეს, რადგან იგი ერთა შორის სისხლის ღვრაზეა აღზრდილი, მაგრამ საქართველოს დემოკრატიას ეს გზა საზიზღარ გზათ მიაჩნია და მას მთელი თავის ძალ ღონით გაუმკლავდება.

თვითმპყრობელობის დათესილი ღვარძლი ვერ გააბოროტებს ეროვნულათ ქართველ ხალხს. ჩვენი დემოკრატია არავითარ შემთხვევაში არ შეხედავს მტრულათ იმ გლეხებს, მუშებს და სხვ რომელნიც ცარიზმის პოლიტიკამ ჩამოასახლა ჩვენში.

ჩვენ მათ ვილებთ, როგორც მშრომელ ხალხს, რომელთანაც ძლიერი და სრული სოლიდარული მუშაობა გვსურს. ჩვენ იმედი გვაქვს, თუ დაშნაკელთა ნაციონალისტურმა გესლმა არ გასჭრა, ამ ხალხთან დემოკრატიული სოლიდარობა ერთი წუთითაც არ დაირღვევა. ხალხს გასაყოფი არა აქვს რა ერთი მეორეში: მათ მხოლოდ ნაციონალისტები ამხედრებენ და თავის გავლენის ქვეშ ჩაიგდეს...

საქართველოს დემოკრატიას აქვს საშუალება და შესწევს ძალა ამ შოვინისტთა შხამის ამოსაკვეთად და ნაციონალისტური განგაშის ასალაგმავათ, რომლებსაც უნდა ეკუთვნოდენ ამ ბოროტების მთესველნი და მქადაგებელნი...

საქართველოს დემოკრატია არასოდეს არ ჩაიდენს იმას, რაც თურქის ოლქში მოხდა რუსეთის ყაზახთა მიმართ.

მაგრამ იგი პროვოკაციათ მიიჩნევს იმასაც, როცა ყოფილი მოხელენი გადმოსახლების დაწყებისა, რომელთაც ხელი ურევიათ ცარიზმის ისტორიულ ბოროტებაში, ან ნაციონალისტები დღეს დაპირებიან ამ ბოროტ ნამუშევარზე დაყრდნობას საქართველოს სახელმწიფოებრივობის დასანგრევათ, და მით უმეტეს პროვოკაციათ მიიჩნევს ცდას ამ ბოროტ პოლიტიკის გაგრძელებისას.

მართალია, ცარიზმის ბოროტების გამოსწორება ძნელია, შეუძლებელიცაა, მაგრამ დემოკრატიას აქვს სხვა საშუალება საკითხის მშვიდობიანათ და სოლიდარულათ მოსაგვარებლად.

პირველად ყოვლისა უნდა უზრუნველყოფილი იქნეს ინტერესები თვით იმ მცხოვრებლებისა, რომელნიც სადაო ტერიტორიაზე სახლობენ.

რაც შეეხება საზღვრების გასწორებას, ამ მხრით უნდა ყოველი ზომა იქნეს მიღებული საკითხის მშვიდობიანათ მოსაგვარებლად.

ჩვენ დავიჭირეთ მთელი თფილისის გუბერნია, მაგრამ ჩვენს მოქმედებას იმპერიალიზმი კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ სურვილი თავის დამოუკიდებლობის შერჩენისა. თუ ჩვენ ვიქნებით დარწმუნებული, რომ საქმე გვაქვს ისეთ სახელმწიფო ერთეულთან, რომლის მეზობლობა უზრუნველჰყოფს ჩვენს ტერიტორიას გარეშე ძალების შემოსევისაგან, რომ ტერიტორიალურათ საზღვრების გასწორება არ გადაიქცევა საშუალებათ ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დარღვევისა, ზავისა და მშვიდობიანობის დასაცველად ჩვენ უარს არ ვიტყვით საზღვრების ხაზის შესწორებაზე. მაგრამ თუ ჩვენ ასეთი გარანტია არ გვექნა, თუ ჩვენ საზღვრებს ამით, როგორც ჩვენს ერს, ისე სადაო ტერიტორიის მცხოვრებთ საფრთხე მოელის, ჩვენ, როგორც დემოკრატიის წარმომადგენელნი ყოველის ღონით შევეცდებით დავიცვათ არსებითი ინტერესები ქართველი, სომეხი, ბერძენი და ყველა სხვა ერის დემოკრატიისა, რომელთა დაცვაც კი ჩვენთვის შესაძლებელი იქნება.

ვერც სომხის დემოკრატია იტყვის იმას, რომ მას უცხო ხელით გასრესა ურჩევნია საქართველოს ფარგლებში ცხოვრებას. და ინტერესი სომხის, ბერძნის და სხვა დემოკრატიის ოდნავათაც არ შეიბღალება მათი საქართველოში ყოფნის, რადგან აქ მათ ექნებათ სრული მოქალაქეობრივობა და მათი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა, თუ იმასთანავე ამით იგინი გარეშე საფრთხეს აიცდენენ.

ოსმალეთის შემოსევის ხანაში ჩვენ შევძელით იმ რამდენიმე ასი ათასი არა ქართველის სიცოცხლის ქონების და არსებობის შენარჩუნება, რომელნიც ჩვენი საზღვრების ფარგლებში მოხვდენ. და მომავალშიაც ჩვენ ამ თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებთ, როცა საკითხი ისეთ საზღვრების დაწესებაზე მიდგება, რომელიც მოგვცემს მაქსიმალურ შესაძლებელ უზრუნველყოფას ქართველი, სომეხი და სხვა ერის დემოკრატიის არსებობისა და განვითარებისას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში.

ამ რიგათ: ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპია სახელმწიფო საზღვრების გამიჯვნაში: ინტერესები დემოკრატიის, განურჩევლათ ეროვნებისა და ინტერესი დემოკრატიული სახელმწიფო აღმშენებლობის დაცვის, ისეთ გარეშე ძალებისაგან, რომელნიც მას დანგრევას და განადგურებას უქადიან.

დემოკრატიის კეთილდღეობა,—აი უმაღლესი კანონი.

## გადასახადები და დემოკრატია

საზოგადოებაში ორი მთავარი მიმდინარეობას აქვს ადგილი: ერთია ნამდვილი დემოკრატიული პროლეტარიატის და შეგნებულ გლეხობის მეთაურობით, ხოლო მეორე ლუმპენ პროლეტარული, მუქთახორული.

ამ უკანასკნელთა იდეალი საუცხოოთ დაახასიათა დიდმა მქადაგებელმა ქრისტემ: შეხედეთ ჩიტებს—არცა სთესენ, არცა მკიან, მაგრამ მაძღრები კი არიან. ამ ტიპის ხალხი ბლომათ იყო რომის იმპერიაში: ის მართლა არც სთესდა და არცა მკიდა, ქუჩა-ქუჩა დადიოდა და „პურსა და გასართობს“ ითხოვდა.

რუსეთში ასეთი ხალხი ინტელიგენციის და ებრაელების რბევა აწიოკებას აწყობდა.

ცხადია, ამ ჯურის ხალხს ყველა უარყოფით უცქერის, მაგრამ მის ფილოსოფიას ბევრი ჯერ კიდევ ვერ გამოთხოვებია და მუქთახორულმა ფილოსოფიამ საგრძნობლათ იჩინა თავი გადასახადების აკრეფის საქმეში.

რევოლიუციურ ხანაში, როცა ყოველივე ძველი ნგრევას განიცდის, სრულებით ბუნებრივია გადასახადებზე უარის თქმა: ამიტომ იყო, რომ როცა პირველი სახელმწიფო სათათბირო გარეკეს, თვით უზომიერესმა კადეტებმაც კი მოაწერეს ხელი ვიბორგის მოწოდებას, რომელიც ხალხს ურჩევდა მთავრობისათვის გადასახადი არ მიეცა.

ბუნებრივი იყო ეს ჩვენშიაც რევოლიუციის პირველ ხანებში: ჩვენი მიზანი იყო ძველი მთავრობის მექანიზმის მოშლა და ახალ წყობილებისათვის ნიადაგის მომზადება.

მაგრამ რაც რევოლიუციონური და სასარგებლო იყო შარშან, ის ასეთად ვერ ჩაითვლება წელს.

ჩვენ უკვე დავარღვიეთ ყოველივე ძველი და დიდი ხანია ახლის შენებას შევუდექით. ჩვენ უკვე მოვიპოვეთ ის მთავარი გამარჯვება, რომელიც დემოკრატიის ბატონობაში გამოიხატება. ძველი მთავრობის დროს ხალხს და მის წარმომადგენლებს არას ეკითხებოდენ: არც იმას, თუ როგორ უნდა აეკრიფათ გადასახადი, არც იმას, თუ რაზე და როგორ უნდა დაეხარჯათ აკრეფილი ფული. ასეთ პირობებში არც ერთი დემოკრატი არ თანაუგრძნობდა მთავრობისათვის გადასახადების მიცემას.

მაგრამ დღეს ხომ ხალხის ხელშია ყველაფერი: როგორც ინგლისში ერთს გროშს ვერ დახარჯავს მთავრობა, თუ პარლამენტის დასტური არ იქნა, ასეა ჩვენშიაც.

მიუხედავათ ამისა, აქა იქ გაისმის უკმაყოფილების ხმები: ერთნი ამბობენ, გადასახადების გადახდა არ არის დემოკრატიული ზომის, მეორენი გულწრფელათ არიან გატაცებულნი: არ გვეგონა თუ დემოკრატიული მთავრობა მიწების გაყიდვას გაივლებდა გულში ან ჩამორთმეულ მიწებზე ღალას მოითხოვდაო. ერთი სიტყვით, შებრუნებულათ იმეორებენ იმას, რასაც ნაციონალ-დემოკრატები დემაგოგიის მიზნითავრცელებენ ხალხში.

ასეთი მიხედულება, რომელიც რაღაც გაუგებრობით, დემოკრატიულს სამოსელში ეხვევა, არსებითად რეაქციონურია. ის შედეგია მუქთახორულ, ლუმპენპროლეტარულ სულისკვეთებისა: მხოლოდ რომის ლუმპენ-პროლეტარებს შეეძლოთ „პური და გასართობი“ ეთხოვათ და ნასუფრალით დაკმაყოფილებულიყვნენ, მხოლოდ „მოსიაკებს“ შეუძლიათ განაწილებაზე ოცნებობა; წარმოებაში ჩაბმული პროლეტარიატი და მოწინავე გლეხობა ასეთს ფილოსოფიას ვერ გაიზიარებს. ლუმპენ-პროლეტარიატი არავითარ ღირებულებას არ ქმნის, ის მხოლოდ მომხმარებელია. სამაგიეროთ პროლეტარიატი და გლეხობის სალი ნაწილი ყოველივე სიმდიდრის წყაროა და შეუძლებელია ამ ორმა ჯგუფმა შესაფერად არ იზრუნოს მთელის ინტერესებზე და პირიქით, წარმოადგენი ინტერესები ამ მთელს არ დაუმორჩილოს. ეს მთელი კი სახელმწიფოა. და ჭკვიანი ადამიანი ვერ იტყვის, რომ სახელმწიფოს შეუძლია არსებობა, თუ მას არ ექნება ფული, რომელიც საერთო საქმეებისათვის არის საჭირო.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ, როგორც გადასახადის აკრეფის საქმეს, ისე მიწების გაყიდვის საკითხს.

და ვინც დემოკრატიულ სახელმწიფოს გაძლიერებაზე ფიქრობს, ვინც საქმით ემსახურება დემოკრატიას ამ

ჩვენი გაზეთის რედაქცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგ მკითხველებს თავის მუშა-მწერლის თანამშრომლის

# მაიდნელის (ტრიფონ სალაიას)

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ ქუთაისის სოც.-დემოკრატიულ კლუბიდან ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს ნაშუადღევის 4 საათზე ახალი დროით და წაასვენებენ გურიაში სოფელ მაიდანს. დაკრძალვა კვირას.

სოც. დემ. მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და პარტიის წევრთ კომიტეტის წევრის ამხ.

# ტრიფონ სალაიას

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ სოც. დემ. კლუბის ბინიდან ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე (ახალი დროით) და წაასვენებენ გურიაში ს. მაიდანს. დაკრძალვა კვირას.

არა ცარიელი სიტყვით, ვინც პირადს, ვიწრო ეგოიზმს საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა არ აყენებს, იმისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ზემოდ აღნიშნულ საკითხებში არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს.

პროლეტარიატი და შეგნებული გლეხობა ყოველმხრივ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს გამხრწნელ ლუმპენ პროლეტარულს მიმდინარეობას.

## ბატონი ა. ამირალოვი

ერთმა ჟურნალისტმა მოხდენილად უწოდა სომხეთის მთავრობის ვექილები იმ მწერლებს, რომლებიც თფილისის გაზეთებში ხშირად სწერენ წერილებს და ყოველთვის იწონებენ სომხეთის მთავრობის ყოველგვარ ნაბიჯებს.

ჯერ-ჯერობით ჩვენ ამ გაზეთებიდან და მათში მოკალათებულ მწერლებისგან არ მოგვისმენია სომხეთის მთავრობის მოქმედების საწინააღმდეგო აზრები.

„კავკაზსკოე სლოვო-აშხატაორ-ორიზონ" სომხეთის მთავრობის ქებაში არას დროს არ ჩამორჩენია თფილისის კადეტების გაზეთები „ნაროდნაია სვობოდა", „რეჩი".

ჩვენ გვახსოვს კადეტების გაზეთის ქომაგობა დაშნაკელთა მთავრობის მიმართ, აი სად არის ჭეშმარიტი დემოკრატიზმი—სწერს გაზეთი! ამით ის აშკარად აჩვენებდა: ჭეშმარიტი დემოკრატია ერევანშია და არა თფილისში.

ახლა მოვიგონოთ კადეტთა პრესის წერილები, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, სომეხ ლტოლვილებზე და სხ.

დაშნაკელებთან ერთად კადეტებიც ბრძოლით აწარმოებდნენ აგიტაციას საქართველოს მთავრობის, სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ; ისინი ოსმალთა მიერ აწიოკებულ და საქართველოში შემოხიზნულ ლტოლვილებს ეფარებოდნენ. საკმაოა მოვიგონოთ ამ გაზეთების ბრაზით სავსე წერილები „საქართველოს მესოპოტამიის", სომხის ლტოლვილთა საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლების შესახებ, რომ მკითხველისთვის ყველაფერი აშკარა გახდეს.

რამდენჯერ დაუწერია მაგ. „ორიზონ-აშხატავორს", რომ ყოველგვარი ზომა, რომელიც მიმართულია ქართველი მენშევიკების მიერ დაშნაკცუტიუნის ან სომეხ ლტოლვილთა წინააღმდეგ, იმავე დროს მიმართულია მთელი სომეხი ხალხის წინააღმდეგ; ქართველ მენშევიკებს მიზნათ აქვთ დასახული სომეხი ხალხის განადგურება—ამოჟლეტა, როგორც ეს მოიმოქმედეს ოსმალეთში ენვერ-ფაშამ და სხვებმა.

განა ეს მთელი სომხის ხალხის წარმომადგენლობა არ იყო ქართველი ხალხის წინააღმდეგ თუ არა, იმ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ მაინც, რომელსაც ქართველი ხალხის ცხრა მეათედი მიჰყვება?!

სომხეთის ვექილები ასეთი წამოსანების წინააღმდეგ მაშინ არაფერს სწერდნენ. მჭერმეტყველურად სდუმდა, როგორც იტყვიან, მაშინ ერთი ამ ერთი ვექილთაგანი ბ. ამირალოვიც.

როცა საქართველო სომხეთს შორის საზღვარზე მომხდარ კონფლიქტის გამო ამ საქმეში დაშნაკელების „მოღვაწეობას" შესაფერი სახელი ვუწოდეთ, ბ. ამირალოვმა ხმა აღიმაღლა. ის სწერს „რეჩში": „სდებთ რა ბრალს დაშნაკელებს, თქვენ ამით იწვევთ გაბოროტებას სომხეთის მეთაური პარტიის წინააღმდეგ ე. ი. იწვევთ უკმაყოფილებას საქართველოში მცხოვრები რესპუბლიკის წინააღმდეგ. თქვენ სწერთ დაშნაკელნი არიან დაშნაკელებიო, მკითხველი კი ამოიკითხავს თქვენს იდუმალ აზრს და იტყვის, რომ დაშნაკები არიან სომხებიო".

სად ბრძანდებოდა ეს ბატონი, როცა დაშნაკელები თავს გვესხმოდნენ, რატომ ხმა არ ამოიღო?

იმიტომ, რომ ის ვექილია დაშნაკელების, ვექილი სომხის შოვინისტების.

დაბოლოს წერილს ბატონი ამირალოვი ასე ათავებს: „ბორბა"—„ერთობა"—საშიშარ გზას დაადგა. თქვენს მუშაობას საშიშარი შედეგები მოჰყვება. თქვენი ახალი პროფესია დამღუპველია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ თქვენი წერილები ისე იქნება გაგებული, როგორც შური და არა სიმართლე, რომ თქვენ ვერ შესძლებთ ომის წისქვილის ბორბლებს წყალი მიუშვათ და მიუხედავათ თქვენი ინტერნაციონალური შოვინიზმისა და წასისიანებისა, სომხებსა და ქართველებს შორის დარჩება კეთილ მეზობლური განწყობილება".

აი როგორი „ექიმი" მოევლინა საზოგადოებას ბ-ნ ა. ამირალოვის სახით იმ სენის განსაკურნებლათ, რომელსაც შოვინიზმი ეწოდება, მაგრამ თვით „ექიმი" არ არის თავისუფალი ამ ავადმყოფობისაგან და უკეთესი იქნებოდა, რომ თავს უშველიდეს, ვინაიდან—ჯერ თვით ექიმი უნდა განიკურნოს სენისაგან, შემდეგ—ავადმყოფი.

## საუბარი პროფესორ ცუგმაიერთან

ჩვენი გაზეთის თანამშრომელს, 31 ოქტომბერს, საუბარი ჰქონდა გერმანიის დელეგაციის საინფორმაციო განყოფილების თავმჯდომარესთან. დ—რმა ცუგმაიერმა შემდეგი გადმოსცა:

**ისევ ჯარების გაყვანის შესახებ.**

ჩვენ დეპეშაზე, აქ ჯარების დარჩენის შესახებ, ჯერ პასუხი არ მოსულა. ისე კი ჯარების ერთი მესამედი ნაწილი წასულია თფილისიდან. ფოთიდან კავკასიდან წავიდა, რომელიც ისედაც უნდა წასულიყო.

**ზავის მოახლოვება.**

როგორც იცით, პრეზიდენტმა ვილსონმა მოითხოვა, რომ მოლაპარაკება ზავის ჩამოსაგდებათ უნდა აწარმოვოს არა ძველი მთავრობის წარმომადგენლებმა. ამის გამო გერმანეთის ახალმა დემოკრატიულმა მთავრობამ ნოტა გაუგზავნა, საცა აღნიშნავს, რომ გერმანიაში ეხლა ახალი მთავრობაა, ხალხის მიერ არჩეული, რომელიც პასუხისმგებელია რეიხსტაგის წინაშე, აგრეთვე სამხედრო მმართველობა სრულიად ემორჩილება სამოქალაქოს და საზავო მოლაპარაკებასაც ამ ახალი მთავრობის წარმომადგენლები დაიწყებენ.

ყოველგვარ მოლაპარაკებას ეხლა სახალხო მთავრობა აწარმოებს, რომლის ხელშიაც არის ფაქტიური და ფორმალური ძალა უფლება ქვეყანაში, რომელიც მოქმედებს ხალხის უფლების თანახმად და რომელსაც ემორჩილება ყველა სამხედრო ძალები სახელმწიფოში. გერმანიის „მამულიშვილთა პარტია" ვილსონის ამ წინადადებაში ხედავს მოთხოვნას იმპერატ. გადაყენების შესახებ. გერმანიამ გაუგზავნა ახალი ნოტა დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ. ჩემის აზრით, ზავი შეიკვრება, თუნდაც ეს გერმანიისთვის არა სასურველ პირობებში მოხდეს.

**ავსტრია და ზავი.**

ავსტრიამ სეპარატიული ზავის ჩამოსაგდებათ ვილსონს ნოტით მიმართა. პასუხი ჯერ არ მიუღია. უკანასკნელ ავსტრიის ოფიციალურ ცნობაში შემდეგია ნათქვამი: „ჩვენი არა ერთხელ თქმული წინადადებების და სურვილის თანახმათ, რომ ჩვენ მზად ვართ შევკრათ ზავი. ჩვენ გადავწყვიტეთ ყველა დაპყრობილ ადგილებიდან იტალიაში გავიყვანოთ ჩვენი ჯარები". სერბიაში მოქმედი ავსტრიის ჯარები უკვე გადავიდნენ დუნაის მარცხენა ნაპირზე, ჩრდილოეთით. აქ რომ, ავსტრია ჯარებს თავის საზღვრებისაკენ ახევინებს, რომ დროებითი შერიგება ჩამოაგდოს. მე მგონი, რომ სეპარატიული ზავის შესახებ მოლაპარაკება უკვე აწარმოებს. ავსტრიის ზავი დააჩქარებს ზავის ჩამოგდებას.

**ოსმალეთის ვითარება.**

კონსტანტინეპოლის რადიო სადგური „ოსმანი" ისევ მუშაობს. აშკარაა იქ ცვლილება. მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიგეთ, რომ ოსმალეთი სეპარატიული ზავის ჩამოსაგდებათ მოლაპარაკებას აწარმოებს, არა მომხდარა რა.

**ბათუმის შესახებ.**

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე—მართალია თუ არა ხმები, თითქოს ოსმალეთი ბათუმს სცლიდეს, პროფესორმა სთქვა, რომ მას ამის შესახებ ოფიციალური ცნობები არა აქვს, ისე კი შესაძლებელია ეგ გამართლდეს.

**გემის დაზიანება.**

სევასტოპოლთან გემი, რომელსაც მიჰყავდა ავსტრიის სამხედრო ტყვეები სამშობლოში, ნაღმს წააწყდა და ცოტათი დაზიანდა, ადამიანი არ ყოფილა.

**ინგლისი და რუსეთი.**

ინგლისის ინტერესი სრულიადაც არ მოითხოვს, სთქვა პროფესორმა ცუგმაიერმა, რუსეთის გაძლიერებას ისე, როგორც ის ძველად იყო. თუ წინად ინგლისს ეს ეწადა, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ უნდა ძლიერი რუსეთი გერმანეთთან ბრძოლაში გამოეყენებინა ეხლა კი როცა ეს—ეს არის, ზავი უნდა ჩამოვარდეს ინგლისის ინტერესია რუსეთი მაინც და მაინც არ იყვეს ძლიერი და ტერიტორიულად ისე არ მოეწყოს, როგორც დანაწილებამდე იყო მით უმეტეს, რომ ძლიერი რუსეთი მუდამ მეტოქე იქნება ინგლისისა სპარსეთსა თუ აზიაში.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

**31 ოქტომბერი.**

**გერმანიის რადიოს ცნობა.**

29 ოქტ. სხვადასხვა გაზეთები ისევ აუწყებენ, რომ ისპანიის მაროკოში ანარქიაა და რაისული მეფობს იქ როგორც განუსაზღვრელ უფლებიანი დიქტატორი. „ტაიმსის" კორესპონდენტი უკვე დიდი ხანია ცდილობს შეთანხმება ჩამოაგდოს ისპანიასა და გერმანიის შორის. შეთხზული ცნობებით, ვითომც ისპანიის მაროკოში ანარქია გერმანელების მიერ არის მოწყობილი და რაისულის დიქტატორათ აღიარებით, კორესპონდენტი ცდილობს აამხედროს ჩვენს წინააღმდეგ ისპანიის საზოგადოებრივი აზრი. ნამდვილათ კი, ისპანიის გენერალ-პრეზიდენტმა, მას შემდეგ, რაც საქმეს ნამდვილ მდგომარეობას გაეცნო, საჭიროდ დაინახა რაისულის მოწვევა და რითაც ისპანიის მაროკოში სრულდა ადგილები წესიერება და სიმშვიდე. განსხვავება, რომელიც არსებობს ისპანიის და საფრანგეთის მაროკოს შორის, „ტაიმსის" კორესპონდენტისთვის საფუძველია, რომ ისპანიის წინააღმდეგ ჭორები ავრცელოს.

**ვენა.** საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრაშიმ მიმართა სტატს სეკრეტარს შემდეგი დეპეშით: როგორც კი ავიღე ხელში საგარეო საქმეთა სამინისტროს მართვა გამგეობა 18 ოქტ. ნოტაზე ოფიციალური პასუხი გამოვგზავნე, სადაც თქვენ გაიგებთ, რომ ჩვენ ვღებულობთ იმ ძირითად დებულებებს, რომელიც შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა სხვადასხვა დეკლარაციებში გამოაქვეყნა. სრულიად ვეთანხმებით რა ვილსონის ცდას ხალხთა ლიგის დაარსებაში და ვგრძნობ რა, რომ მხოლოდ მას შეუძლია აგვაცდინოს ომი მომავალში. ჩვენ უკვე გადავდგით საჭირო ნაბიჯი, რომ ავსტრია-უნგრეთის ხალხს შეუძლია მიეცეს თავისი მომავალი საკუთარ სურვილების თანახმად გადაწყვიტოს. მას შემდეგ, რაც ტახტზე ავიდა იმპერატორი კარლი, ომის გათავების სურვილი დაიბადა უფრო ძლიერათ, ვიდრე წარსულში. იმპერატორსა და ხალხს სურს, რომ მომავალში დამყარდეს ხიმშვიდე და ბედნიერება. ბატონო სტატს-სეკრეტარო, მე მოგმართავთ თქვენ თხოვნით გაიშუამდგომლოთ პრეზიდენტის წინაშე, რომ ჰუმანიზმის და ავსტრია-უნგრეთის ხალხთა სასარგებლოთ ჩამოაგდოს დროებითი ზავი ყველა ფრონტზე და დაიწყოს საზავო მოლაპარაკება. ავსტრია-უნგრეთის მთავრობა ერთსა და იმავე დროს აცნობა ნოტის შინაარსი საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიის და იტალიის მთავრობებს და სთხოვა თითონაც მიიღონ ეს პირობები და ვილსონის წინაშეც მხარი დაუჭირონ მას.

ბუდაპეშტში ბოგემიის სახალხო საბჭოს კრებაზე განაცხადეს სურვილი გერმანელთა ბოგემია გერმანიის იმპერიას შეუერთდეს.

გერმანიის ნაციონალური პარტიებმა გუშინწინდელ სხდომაზე აღშფოთებით გამოსთქვეს ანდრაშის ვილსონისადმი საპასუხო ნოტის კილოს გამო, რადგან ის წინასწარ არ შეუთანხმდა არც გერმანიის მთავრობას და არც გერმანიის აღმასრულებელ კომიტეტს. გერმანიის ნაციონალური პარტიები გერმანიის სახალხო კომიტეტში მრავალში მოითხოვენ, რომ გერმანიის ავსტრიას თვითგამორკვევის უფლება ჰქონდეს და გატარდეს ცხოვრებაში გერმანიის იმპერიასთან შეთანხმება.

ანდრაშის საპასუხო ნოტა განიხილეს ამორჩეულ დეპუტატთა პალატაში. გერმანიის საზოგადოებაში ნოტამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. საზოგადოება ნოტას დაჩქარებულათ სთვლის, რადგანაც უკანასკნელ დღეებში ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ გერმანიასთან შეთანხმებით მუშაობა უკანასკნელ დრომდე შესაძლებელი იყო.

**ლონდონი.** 29 ოქტ. საგარეო სამინისტრომ მიიღო ავსტრია-უნგრეთის პასუხი ვილსონის ნოტაზე.

**ბუდაპეშტი.** 29 ოქტ. უნგრეთის მთავრობის განკარგულებით ფიუმე კროატებს გადაეცა. ქალაქის საბჭო დათხოვნილია. ყველა სამმართველოში შერებულია მოქმედება. ფიუმეს ბედს საზავო კონფერენცია გადასწყვეტს.

**პრაღა.** 29 ოქტ. ჩეხიის ნაციონალურმა კომიტეტმა დაადგინა: ამიერიდან ყველა არსებული კანონი, ბრძანება, მართვა გამგეობა და სამმართველონი უნდა დაექვემდებაროს ჩეხიის ნაციონალურ საბჭოს.

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი.** 30 ოქტ. სამხედრო ცნობა, კრონპრინც რუპრეხტის არმია. ლისის და შელდის შუა, ფამართან და ენგლფონტენთან მტრის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ. ტურნეს განაპირა უბნებს და შელდის დაბლობის დაბებს ინგლისელები ესვრიან, რამაც მშვიდობიან მცხოვრებთა შორის მრავალი იმსხვერპლა.

**გერმანიის კრონპრინცის არმია.** დილით ადრე მტერმა ძლიერი იერიში მიიტანა უაზის არხზე. საფრანგეთის ჯარმა ნიზი-ლე კონტის და ენის შუა, არტილერიის ძლიერი ცეცხლის შემდეგ და მრავალი ტანკის დახმარებით იერიში განაახლა. უკანასკნელ ბრძოლებში გამოწვრთნილ გენერალ უბერხარდის და ფონ-შელერის ჯარმა, გუშინ მტრის ძლიერი იერიში მოიგერია. 18 კილომ. ფრონტზე მათ სავსებით მოიგერიეს მოკავშირეთა იერიში და გაიმარჯვეს. კლეინ-კანტენის სამხრეთით თავი ისახელა ბრანდენბურგის მე-8 პოლკმა, ვენონის აღმოსავლეთით-ვესტფალიის მე-58 პოლკმა და ენის მაღლობებზე მეკლენბურგის მე 90 პოლკმა. სერის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით დროებით დაცლილი პოზიციები, კონტრ იერიშით ისევ დაიბრუნა ჩვენმა ჯარმა. საღამოთი მტერმა განაახლა იერიში, რომელიც ჩვენმა ჯარმა მოიგერია. ფრანგებს გუშინ დიდი ზარალი მივაყენეთ. გაუნადგურეთ მრავალი ტანკი. უაზის ორივე მხარეზე და მდ. ენის აღმოსავლეთით დროგამოშვებით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. გუშინდელი დღის განმავლობაში ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 27 აეროპლანი და 6 ბალონი. ლეიტენანტ დორმა უკანასკნელ დღეებში 34-ჯერ გაიმარჯვა ჰაერში, ლეიტენანტ ფროლიხმაიერმა 30 ჯერ.

**ბერლინი.** 30 ოქტ. საღამოს სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტზე ღირსშესანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა.

**სამხრეთ აღმოსავლეთის ფრონტი.**

სერბიაში აღმოსავლეთის ფლანგზე მომქმედი ჩვენი სამხედრო ძალა გადავიდა დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე. სუჯეესთან და დრინესთან უკან დახევა წესიერათ მიმდინარეობს. მტერი ჩვენ არსად გვაწუხებს. ალბანეთში მომქმედ ჩვენ სამხედრო ძალას რამოდენიმეჯერ შეხვდა შეტაკება ბრბოსთან.

**იტალიის ფრონტი.**

**ვენა.** 30 ოქტ. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. ტირესპოლის ფრონტზე უმნიშვნელო ბრძოლაა. ტრენტის და პიავის შუა მტრის ძლიერმა ძალამ იერიში მოიტანა აზოლონის და მონტეპერტიკის წინააღმდეგ. ჩვენი ჯარის სიმამაცემ უნაყოფოდ ჩაუტარა მტერს ცდა. ვენეციის ველში ინგლისელები და იტალიელნი წინ მიიწევენ. მონტელოს ჩრდილოეთით და სამხრეთით მათ შესძლეს პოზიციების გაფართოება და წინ წაწევა. თანახმად ჩვენი გადაწყვეტილებისა, ბოლო მოუღოთ ხალხთა შორის ბრძოლას და დროებითი ზავი ჩამოვაგდოთ, ჩვენი ჯარი იტალიის საზღვარზე დაპყრობილ ადგილებს სცლის.

**ოსმალეთის ცნობა.**

**სტამბოლი.** 30 ოქტ. ფრონტზე აღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა.

# ომი და ზავი

**გერმანიის მუშების სულიერი განწყობილება.**

**ბერლინი** (ა. ზ. ბ. პ.). გერმანელი მუშების კავშირები აცხადებენ თავის ორგანოებში: „როგორც წინად, ისე ეხლაც ჩვენ მზად ვართ სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიოთ მტერს, თუ კი ის უარჰყოფს ჩვენს წინადადებას. ჩვენ არ ვფიქრობთ შევკრათ ზავი რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს. გამოვდივართ რა გერმანიის მუშათა კლასის მსოფლმხედველობიდან, ჩვენ უნდა გადავჭრით უარვყოთ ისეთი ზავი, როგორიც ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტებს სურთ გვიკარნახონ". სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „ნაციონალური თავდაცვა" დემ. ჰააზე სწერს „ბერლ. ტაგ."-ში: „მოწინააღმდეგეს შეუძლიან ისეთი პირობები წამოგვიყენოს, რომლებიც აუტანელი იქნება გერმანიის ხალხისთვის. ჩვენ გვსურს ზავი და ის ჩვენთვის საჭიროა კიდეც, მაგრამ ისეთ ზავს, რომელიც ჩვენი პატივის უარმყოფელია და სწადია დაგვიხშოს უფლება არსებობისათვის, გერმანიის ხალხი არჩევს ბრძოლას უკანასკნელ შესაძლებლობამდე".

**შეიდემანი ზავის შესახებ.**

არჩევნების დროს სტატს სეკრეტარმა შეიდემანმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც სხვათა შორის, შემდეგი სთქვა: „გერმანიის ხალხს სურს დაამთავროს ეს საზარელი სისხლის ღვრა ისეთი ზავით, რომელიც მომავალში ომს ვერ გახდიდა ქვეყნიერობაზე შესაძლებლად. შიგნით განთავისუფლებაში ხედავს გერმანიის ხალხი თავის სიდიადეს და საერთო განთავისუფლების შესაძლებლობას. ამ აზრით არის მიცემული პასუხი ვილსონის სამ კითხვაზე. სოციალ-დემოკრატები დარწმუნებულნი და სრული პასუხისმგებელი შეგნებით მიიღებენ მონაწილეობას საზავო მოლაპარაკებაში, რადგანაც მათ კაცობრიობის რწმენა არ დაჰკარგვიათ. ქვეყანა არაა დაინტერესებული იმაში, რომ მთელი ჯავრი გერმანიის ხალხზე დაანთხიოს, რომლის ხელების ნაყოფითაც ის სარგებლობს. ვილსონის პროგრამა მისწრაფების თავისუფლებისა და ყველა ხალხთა სწორ უფლებიანობისათვის და ასეთივეა პროგრამა გერმანიის სოციალ დემოკრატიისა.

**„ჰააზე-ლედებურის მთავრობა".**

**ბერლინი.** 17 ოქტომბერი. (ნ. შ. ზ.) „გერმანიის ზოგიერთ ქარხნებში—სწერს „ფორვერცი"—ისმის ლაპარაკი „ჰააზე-ლედებურის მთავრობაზე", როგორც „ახლო მომავლის ამბავზე". „ჰააზე-ლედებური" მათთვის დაახლოვებითი თარგმანია „ტროცკი—ლენინისა". ჰააზე-ლედებურის მთავრობამ უნდა დააწესოს პროლეტარიატის დიქტატურა და უნდა დაამყაროს მუშათა კლასის ბატონობაზე. თუ ეს ქარხნები დაინახავდენ რუსეთის სურათს, საეჭვოა, დაიჯერებდენ თუ არა ისინი კიდევ, თითქოს ამ გზით შეიძლებოდეს ხალხთა ბედნიერების მიღწევა. ძალიან დიდი კითხვაა, გააბედნიერა თუ არა ბოლშევიზმმა რუსეთის ხალხი? ჩვენ მივმართავთ ამხანაგების სინდისსა და შეგნებას".

**გერმანული პრესა ზავის შესახებ.**

„ფოსს. ცეიტ."-ში მოთავსებულია საინტერესო წერილი გიორგი ბერიგარდისა, საცა ავტორი არჩევს რა ვილსონის პასუხს, მიდის შემდეგ დასკვნამდე: „პრეზიდენტ ვილსონისათვის აღარ არსებობს არავითარი დაბრკოლება საზავო მოლაპარაკების დასაწყებათ, რომელიც გერმანიამ შეუთვალა. მართალია, მოლაპარაკების დაწყებამ მან მაინც და მაინც ვერ შეუმსუბუქა გერმანიის ხალხს თავის განცხადებების ტონით, მაგრამ მისი კონკრეტიული მსჯელობიდან ირკვევა, რომ მისთვის სასურველია საზავო მოლაპარაკება გაგრძელდეს. ამის გამო, რომ მისი ნოტა იწვევს გახანგრძლივებას, რაც ბევრ ხალხისთვის არაა სასურველი, მაგრამ ეს არ ნიშნავს მოლაპარაკების შეწყვეტას. ყოველ შემთხვევაში თანამედროვე მდგომარეობის გამოც საჭიროა მოვაგონოთ მოწინააღმდეგეების მთავრობებს, რომ ისტორიაში მომხდარა ისეთი ამბებიც, როცა დიდ თუ პატარა ხალხებს სურვებიათ ზავი, მაგრამ ბოლოს იძულებული გამხდარან ნაციონალურ ბრძოლისათვის ყველა მიძინებული ძალები აემოქმედებინათ".

**დემონსტრაცია ომის სასარგებლოდ.**

**ჟენევა.** 16 ოქტომბერი. ლიონში, მარსელში და სამხრეთ საფრანგეთის სხვა ქალაქებშიაც უკანასკნელ კვირაში მოხდა ზავის სასარგებლო დემონსტრაციები. პროფესიონალური საბჭოების თავმჯდომარემ წინადადება წააყენა გამოაცხადონ 12 საათის საერთო გაფიცვა, როგორც დემონსტრაცია ხალხთა ზავისათვის.

**საფრანგეთის მზადება საზამთრო კამპანიისთვის.**

**ბაზელი.** (რ. ლ.) ლონის გაზეთები იტყობინებიან, რომ საფრანგეთის პალატის სამხედრო კომისიას წარსულ პარასკევს მსჯელობა ჰქონდა სამხედრო მდგომარეობის შესახებ. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ საფრანგეთი მოეწყობა საზამთრო კამპანიისთვის, თუ ვინიცობაა ვილსონის ცდამ საფრანგეთისთვის საპატიო ზავი ჩამოაგდოს, უარყოფილ იქნება.

**ამერიკული პრესის აზრი.**

**ამსტერდამი** (უ. დ. ს.) რეიტერის სააგენტოს ცნობით გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" სწერს ვილსონის პასუხის შესახებ შემდეგს: „პრეზიდენტი ლაპარაკობს ამერიკელთა გრძნობების და მისწრაფებების თანახმად, როცა გერმანიის სრულ იარაღის აყრას აყენებს ერთ აუცილებელ პირობათ საზავო მოლაპარაკების დასაწყებად". გაზ. „ნიუ-იორკის ტრიბუნი" სწერს: „ვილსონის პასუხი არავითარ საბაბს არ მისცემს იმპერატორის მთავრობას განუცხადოს თავის ხალხს, რომ მისი ცდა ზავის ჩამოგდებისათვის, როცა ის დაეყრდნო ვილსონის დებულებებს, უნაყოფო გამოდგა". გაზეთი „ბოსტონ გლობი" აცხადებს: „პრეზიდენტმა აღიარა, რომ გერმანული მმართველობის სისტემა დიდად წაუყენა; ...", ამით ისინი ადასტურებენ, რომ აქამდე უსარგებლო ომს აწარმოებდენ და თუ ისინი ამ ადგილებს არ დასცლიან, მაშინ მოლაპარაკება შეუძლებელი გახდება. უნგრების მდგომარეობა კრიტიკულია და ეს მდგომარეობა უფრო უარესი შეიქნება".

**სკანდინავიის სახელმწიფოთა პრესა.**

**სტოკჰოლმი** (უ. დ. ს.) ბურჟუაზიული პრესა იმედ გაცრუებულია ვილსონის პასუხის გამო. მის პირობებს სთვლიან სასტიკ პირობებად და დასაბუთებას და ფორმულირებას გამოურკვევლად და ბუნდოვანად. ერთ-ერთი გაზეთი სინანულს გამოსთქვამს, თუ რატომ ნეიტრალური სახელმწიფონი არ შეერთდნენ და არ ჩაერივნენ ამ საქმეში. „ბევრი რამე ამტკიცებს იმას, რომ მეომარი სახელმწიფონი მეტათ აღელვებულნი არიან, ასე რომ, ნეიტრალურ სახელმწიფოებს ადვილათ შეეძლოთ მათი დაშოშმინება და მათთვის სარგებლობის მოტანა." მეორე გაზეთი შენიშნავს: „ალბად, მეომარი სახელმწიფოების მმართველების გული სავსეა შურისძიებით და მათი ხელებიც შელებილია სისხლით, ესაა მიზეზი, რომ მათ არ ძალუძთ ააგონ ტაძარი, საცა აყვავდებოდა უფლება და ზავი".

**სტოკჰოლმი** (ა. ვ. ბ. პ.) გაზ. „ტიდენინგენ" აღნიშნავს, რომ თუ შეთანხმების სახელმწიფონი ისევე გააგრძელებენ მოლაპარაკებას, როგორც აქამდე სჩადიოდენ, მაშინ მშვენიერი ამერიკული ფრაზები, უპარტიო სამართლიანობაზე, უფლებრივ ზავზე და ხალხთა კავშირზე მხოლოდ გაიძვერობა იქნება. მაშინ დიდიხნის ზავის მაგიერ საფუძველი ჩაეყრება ახალ-ახალ ომებსო".

# სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობები

**მობილიზაცია სომხეთში.**

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის შეკითხვაზე, თუ რამდენათ მართალია გაზეთებში მოთავსებული ცნობები სომხეთში მობილიზაციის მოხდენის შესახებ, სომხეთის რესპუბლიკის საქმეების რწმუნებულმა უპასუხა, რომ სომხეთში მობილიზაცია არ ხდება. მთავრობას ამის შ სახებ არავითარი განკარგულება არ გაუცია. ის შენიშვნები, რომელიც გაზეთებში იყო მოთავსებული, ცხადია ეხება იმ მორიგ მობილიზაციას, რომელიც გამოცხადებულ იყო დიდი ხნით ადრე სომეხ-ქართველთა კონფლიქტამდე. ამიტომ ამ კონფლიქტთან მობილიზაციას არავითარი კავშირი არა აქვს. სომხეთის სამხედრო მინისტრის 7 ოქტომბრის ცნობით ჯარში იწვევენ სომხეთის იმ მოქალაქეებს, რომელნიც დაბადებულნი არიან არა უადრეს 1899 წ. ე. ი. 20-დან 25 წლამდე.

**პოლკოვნიკი კოროლკოვი.**

იმ ბრალდებების შესახებ, რომელნიც წამოუყენა ქართულმა პრესამ პოლკოვნიკ კოროლკოვს, სომხეთის დიპლომატიურ მისიასთან არსებული საინფორმაციო ბიურო აცხადებს, რომ პოლკოვნიკი ალექსანდრე ანტონის ძე კოროლკოვი, რომელიც სომხეთის ჯარში მსახურობს ცხენოსან დივიზიის უფროსათ, წელიწად-ნახევარია, რაც მუდმივ სომხეთში იმყოფება და მას არ შეეძლო დუშეთის და ბელიკლიუჩის გამოსვლებში მონაწილეობა მიეღო.

**არშაკ ჯამალიანი და „საქართველოს რესპუბლიკა".**

სომხეთის საქმეთა რწმუნებულმა მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელ ნ. ვ. რამიშვილს წერილობით, სადაც აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ოფიციალური ორგანო „საქართველოს რესპუბლიკის" უკანასკნელ ნომრებში მოთავსებულია რამოდენიმე წერილი, ლორის რაიონში მომხდარ ამბების შესახებ, რომელიც აღნიშნავს, სომხეთის რესპუბლიკისადმი არა მეგობრულ განწყობილებას და შეიცავს განცხადებას, რომელიც უჩვენებს, რომ საქართველოს ჯარმა აიძულა სომხის შეიარაღებული ძალა გაეწმინდა ჩვენი, საქართველოს ტერიტორია და ჩვენ (ქართველებმა) ვაიძულეთ სომხის ჯარს დაეტოვებია საქართველოს ტერიტორია. უნდა აღვნიშნო, რომ ზევით მოყვანილი ცნობა სიმართლეს არ შეიცავს, ვინაიდან სომხის რესპუბლიკის ჯარის დახევა იმ ხაზამდე, რომელიც უწინ ოსმალებს ეჭირათ მოხდა არა ქართველების ჯარის იძულებით, არამედ ორივე რესპუბლიკის მხრივ დიპლომატიური მოლაპარაკებით და საქართველოს მთავრობის მიერ კონფლიქტის მშვიდობიანად გათავების სურვილით. ჯამალიანი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის ორგანოს სტატიების კილო მომავალში ხელს ვერ შეუწყობს ორ მეგობარ რესპუბლიკათა

შორის მომხდარ გაუგებრობის მშვიდობიანათ გადაწყვეტას. „ამისათვის, ვიცი რა თქვენი სურვილი მომხდარ გაუგებრობის საჩქაროთ ლიკვიდაციისა, ათავებს ჯამალიანი წერილს, ნებას მივსცემ ჩემ თავს მივაქციო თქვენი ყურადღება მთავრობის ორგანოს ასეთ გამოსვლებს, რომელიც ხელს შეუშლის ჩვენი მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს კონფლიქტის მოსაგვარებლად“.

# ახალი ამბები

**თფილისის აფთიაქებში.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულების თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: „ქ. თფილისის ყველა აფთიაქებში მუშაობა სწარმოებდეს ღამის თორმეტ საათამდე და ღამის მორიგეობა ორჯერ, ეხლანდელთან შედარებით, გადიდებულ იქნეს, ვინაიდან თფილისში ინფლუენციის ეპიდემია მძვინვარებს. ამ ბრძანების აფთიაქებში შესრულებას თვალყურს ადევნებს თფილისის მილიციის უფროსი.

**იუსტიციის მინისტრმა** მიმართა თფილისის ქალაქის თავსა და ქალაქის საბჭოს, რომ 24 სექტემბრის კანონის ძალით, როგორც უბნის, ისე მომრიგებელ მოსამართლეთ არჩეულ უნდა იქნენ საქართველოს ქვეშევრდომნი და მასთან ქართული ენის მცოდნენი, ვინაიდან საქმის წარმოება სასამართლოებში სახელმწიფო ენაზე უნდა სწარმოებდეს.

**მიწერ მოწერა სამინისტროებს შორის.** 29 ოქტომბერს სამინისტროების დირექტორთა თათბირმა დაადგინა სამინისტროებს შორის მიწერ მოწერა ქართულ ენაზე სწარმოებდეს.

**სამხედრო მინისტრის ბრძანება.** 20 ოქტომბერს მე მოულოდნელათ ვესტუმრე მფრინავთა რაზმს, რომელიც დაბანაკებულია ნავთლუღში. რაზმის მდგომარეობამ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯარის კაცები კარგათ არიან გამოწყობილნი, აქვთ ყველას საჯარო მატრასები, საბნები, ბალიშები, ყველგან წარწერა ქართულ ენაზეა, შესანიშნავი სისუფთავე და წესიერებაა ყველგან. ყოველისფერში სჩანს, რომ საქმეს ყველა სიყვარულით ეკიდება და კეთილ-სინდისიერათ ასრულებენ. რაზმს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც არის ქართული და რუსული გაზეთები. მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს მადლობა მოვახსენო, როგორც რაზმის უფროსს პოდპოლკოვნიკ მაჭავარიანს, აგრეთვე ყველა მის თანაშემწე ოფიცრებს და ჯარის კაცებს.

**ნაციონალიზაცია.** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში ყოველივე საქმის წარმოება ქართულ ენაზე ხდება. ამიტომ 1 ნოემბრიდან იუსტიციის სამინისტროს ყველა უწყებებმა ქართულ ენაზე უნდა მიმართონ სამინისტროს.

**ლექცია.** პარასკევს, 1 ნოემბერს ორთაჭალის მუშათა კლუბში იქნება ლექცია, ლექციის შემდეგ იქნება კინემატოგრაფი.

**ვიპოვნე** პასპორტი და რკინის გზის კნიშკა ზაქარ ალექსანდრესძე გერკულის სახელზე. მოიკითხეთ სალდათის ბაზარში, ხილით მოვაჭრე ალექსანდრე ტალახაძესთან.

**გზათა სამინისტრომ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ რკინის გზის მუშები არ მიიღონ სახალხო გვარდიაში, ვინაიდან ისინი ხელოსანნი არიან და მათი გასვლით, საქმე შეფერხდება.

— ამავე სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა საქართველოს სამხედრო გზაზე გაუქმებულ იქნას სამხედრო ტარიფი.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე მუშათა საზაფხულო კლუბში (მიხეილის ქ. № 65), დანიშნულია ჟურნ. „პირველი ნაბიჯის“ თანამოაზრე, მოწინავე მუშათა კრება.

— პარასკევს, 9 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე სახ. სალში, 2 რაიონის კოლექტივის ბინაზე შესდგება ბაქოს ს.-დ. მუშ. პარტიის ორგანიზაციის წევრთა კრება.

# საქართველოს გარშემო

„ხვოზოდნი მ. ხლ“.

ქალაქ სოჩში გამოდის ყოველდღიური სოციალდემოკრატიული გაზეთი ამ სათაურით, ორგანო სოჩის ს. დ. კომიტეტისა.

26 ოქტომბრის მთელი ნომერი (№ 41) ამ გაზეთისა სავსეა წერილებით საქართველოს შესახებ.

წერილები ეხება სხვადასხვა საკითხებს და შეიცავენ პასუხს ამ ცილისწამებათა შესახებ, რაიც უხვად იბეჭდება რუსულ შავრაზმულ თუ კადეტურ პრესაში საქართველოს შესახებ. ამ წერილებს საერთო სათაურად აქვთ—„სიმართლე საქართველოს შესახებ“.

მეთაური წერილი ასე თავდება: „რუსეთში დასამარდა რევოლიუცია, მაგრამ გადარჩა საქართველო და მაშასადამე, დარჩა რწმენა რევოლიუციისადმი. რწმენა, თუნდაც ის მარცვლის ოდენა იყოს, აამოძრავებს მთებს...“

გაზეთში მოთავსებულია შემდეგი წერილები: მეთაური, „პროტექტორატი“—გარრისა (ვ. ვ. პეტროვი), „ცადვილთა სინანული“—მუხრან ოდიშელისა (ხოხლოვა), „როგორ გახდა საქართველო დამოუკიდებელი“—შტაბს კაპიტან ლ. ნოვიკოვისა, „საქართველო და რუსი ოფიცრობა“—პორუჩ. ლევ. ტუზარკინისა, „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდია“—სახ. გვარდიელის მაისურაძისა, „ნაციონალიზაცია“—შტ.-კაპ. ლ. ნოვიკოვისა, „საქართველო და სოჩის ოლქი“ ლ. ზ—სა, წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „მრუდე სარკე“ („კრივოე ზერკალო“) გარრი მოხდენილ პასუხს აძლევს მონარქიულ პრესას, რომელიც შულგინის და სხვათა მეთაურობით საქართველოს წინააღმდეგაა ამხედრებული. გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე „ჟორდანიას და წერეთლის წერილი“ რუსეთის სოც.-დემ. ცენტრალურ კომიტეტისადმი მიწერილი.

ვუსურვებთ ამ გაზეთს გავრცელებას იმ ადგილებში, სადაც საქართველოს მტრების მიერ ატმოსფერა მოწამლულია.

საჭიროა ასეთი გაზეთების გამოცემა-გავრცელება რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. ამას უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება საქართველოს მეგობრებმა.

ეს გაზეთი თფილისში იყიდება მეგაზეთეებთან.

# ამხ. ტრიფონის ხსოვნას

„იყო ობოლი, ობლობაში აღმოიზარდა. იმ ობლისთვის ამ ქვეყნად არავინ ზრუნავდა“.

მაგრამ ობოლი ობლობამ და მამინაცვლებმა ვერ დასჯაბნეს. ობლის კვერი თუმც გვიან, მაგრამ მაინც გამოცხვა. ობოლმა თვით იწყო სხვებრ, მისებრ ობოლთა პატრონობა, გამოიწვია, დავაჟკაცდა, დაფოლადდა. ობოლთა და მაშვრალთა საოხოთ ხან ლითონის ასო ებს ჩაკირკიტებდა, ხან ლითონის კალამს ამეტყველებდა და როცა ობოლთა ბანაკს არამკითხე მამინაცვლები წაეპოტინნენ, მაშინ ობოლმა ტრიფონმა ხელში აიღო თოფი—ობლებს გადაეფარა, ბოლშევიკებისაგან თავის მკერდით დაიფარა. მისი სიტყვა და საქმე ერთი იყო.

მუშათა ოქროპირი, მუშათა ორატორი, ბრძოლის ველის ბელადიც იყო. მუშათა ყოველგვარი გასაჭირის მისწრება ტრიფონ მაიდნელი: მუშა მწერალი. ტრიბუნ-მებრძოლი, მუშათა კერაზე ალზრდილ-ნაწრთობი აღარა გვყავს, მუშათა მაიდანს ერთი მებრძოლი მოაკლდა, მაგრამ არ გვმართებს ურვა და ვიში: მუშათა უბანი კვლავ ბევრს ასეთებს წარმოშობს, მუშათა საქმე კვლავ ბევრს შეიწირავს, მაგრამ ერთხელაც იქნება „ზე გათენდება თავისუფლების“ და ნეტარება მას, ვინც მზის ამოსვლას შეეწირების და მომავალში მოიგონების. („ს. დ.“).

# საკათალიკოსოს ხარჯთ-აღრიცხვა

სახელმწიფო კონტროლიორმა წარუდგინა მთავრობას საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვა საქართველოს მღვდლების, ეკლესიათა და სასულიერო დაწესებულებათა შესანახად, რომელიც მას (კონტროლიორს) ჰქონდა გადაცემული დასკვნის გასაკეთებლად. ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 10,744,500 მანეთს წელიწადში. აქედან 9,137,400 მ. ითხოვენ სამღვდელოებისათვის ასეთი განაწილებით: მღვდელს თვეში 300 მ., დიაკვნებს 250 მ., მედავითნეს 200 მან., ეკლესიათა შესანახად 486,200 მან. ნავარაუდევი. დანარჩენი 1,120,900 მ. თხოულობენ საკათალიკოსოს დაწესებულებათა შესანახად. სახელმწიფო კონტროლიორი თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ, ვინაიდან ჯერჯერობით გამოცემული არ არის კანონი—ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ და ძველი კანონები გადაიშინჯება, ხოლო სასულიერო საეკლესიო დაწესებულებანი ჯერ კიდევ ასრულებენ ზოგიერთ სახელმწიფო ფუნქციებს (მეტრიკული წიგნის წარმოება და სხ.) სახელმწიფომ მათ დახმარება უნდა გაუწიოს, მაგრამ არა იმდენი, რამდენსაც თხოულობენ. სახელმწიფო კონტროლიორს მოყავს თავისი მოსაზრებანი და წინადადება რამდენად უნდა შემცირებულ იქნას ხარჯთ-აღრიცხვა. ამ შუამდგომლობას მთავრობა ამ დღეებში განიხილავს.

# ხალხთა ლიგა

**გერმანიის რადიო ცნობა. 28 ოქტომბერი.**

„თავისუფლების და სამშობლოს დაცვის სახალხო კავშირმა“ ხალხთა ლიგის სასარგებლოთ, შაბათს, ორი მრავალრიცხოვანი კრება გამართა, სადაც საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა დოქტორ დერნბურგმა ხალხთა ლიგის იდეის წარმოშობის ისტორია განმარტა და აღნიშნა, რომ ეს იდეა კლასიკურ ფორმით იყო დაწერილი დ ახსნილი ემანუილ კანტის მიერ. დერნბურგმა განაცხადა, რომ ვილსონის მიერ წამოყენებული 14 პუნქტი სავსებით ანხორციელებს იმ მოთხოვნილებათ, რომელიც კანტმა წამოაყენა თავის სხვადასხვა ნაწარმოებში. ხალხთა კავშირის არსებობისთვის აუცილებელია მოისპოს ის უთანხმოება, რომელსაც ახლა ადგილი აქვს ევროპაში და განსაკუთრებით მონობის ქვეშ მყოფ ადგილებში. უპირველესად მომავალი ზავი უნდა იყვეს სამართლიანობაზე დამყარებული და ისეთი, რომელიც დიდ სახელმწიფოებს არ წარუდგენს ისეთ მოთხოვნილებებს რომელიც შებღალავს მათ ღირსებას და გრძნობას. უამისოთ ხალხთა ლიგა წარმოშობისთანავე საფრთხეში ჩავარდება. თუ კი ხალხთა კავშირი მხოლოდ იმის საშუალებაა რომ გერმანია ომის დასასრულზე დააუძლუროს და საუკუნოთ განმტკიცდეს ის პირობები, რომელსაც წარუდგენენ გერმანიას, როგორც დამარცხებულ ერს, იმ შემთხვევაში ასეთი ხალხთა კავშირი არ იქნება მტკიცე. გერმანიის დიადი ერი არავის შეუძლია დაბრმავებულ სამსონივით აბუჩათ აიგდოს. რეიხსტაგის უმრავლესობის პარტია სავსებით იზიარებს ხალხთა ლიგის ძირითად საფუძველს და სურს მისი განმტკიცება, რადგან ხალხთა ლიგა ერთათ ერთი საშუალებაა რომლითაც შეიძლება მტკიცე ზავის დამყარება. მოხსენების შემდეგ რეიხსტაგის უმრავლესობის პარტიათა წარმომადგენელნი გამოვიდნენ განმარტებებით და მოიწონეს ხალხთა კავშირის იდეა. ასეთ განმარტებით გამოვიდა სოც. დემ. ლეგიენი. ცენტრის წევრი ბარონი ფონ რესენბერგი და ნაციონალ-ლიბერალი ბარონი ფონ-რისტჰოფენი. ამის შემდეგ ერთხმათ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „თავისუფლების და სამშობლოს დაცვის სახალხო კავშირი“ რომელსაც შეიმჩნა ოთხ მილიონზე მეტი ეკონომიურათ შეკავშირებული მუშა და მოხელე, ახალი გერმანიის კულტურულ სახელმწიფოთა ოჯახთა შესვლის გზას ხედავს ხალხთა ლიგის შექმნაში, როგორც ეს აღიარა სახელმწიფოს სამართველომ და რეიხსტაგის უმრავლესობამ ვილსონის წინააღმდეგობათა სრული თანხმობით საფუძვლათ აუცილებელია შემდეგი: ხალხის სწორუფლებიანობა, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრა—სამედიატორო სასამართლოს საშუალებით, ზღვათა თავისუფლების პრინციპის გატარება ცხოვრებაში, შეთანხმება დროებით და საზღვამო განიარაღებაზე, მიმოსვლის თავისუფლების გარანტია და მუშათა ინტერნაციონალურ უფლებათა შემუშავება. გერმანიამ ამ კულტურულ მუშაობაში დანარჩენ ხალხთან ერთად თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს. ამას მით უფრო ადვილათ მივაღწევთ, რამდენათაც საზოგადოებრივ ძალთაგან სახალხო მთავრობა, ფართო მასის ნდობით აღჭურვილი, კონსტიტუციაში ნათლათ გაატარებს და უზრუნველყოფს პოლიტიკურ თავისუფლებას და სოციალურ პროგრესს. ამ გვარ ხალხთა კავშირს ექნება მტკიცე საფუძველი და იმედი, რომ ომი დასრულდება სამართლიანი ზავით, რომელიც როგორც სხვა, ისე გერმანიის ხალხის ღირსებას არ შებღალავს და უზრუნველყოფს მათ არსებობასა და განვითარებას. სრული დარწმუნებული გერმანიის ხალხის სიძლიერეში, როგორც ფრონტზე, ისე შიგნით, „თავისუფლების და სამშობლოს დაცვის სახალხო კავშირი“ მხარს უჭერს სახალხო მთავრობას და სახალხო წარმომადგენლობას, რომელიც ესწრაფვის ასეთ ზავს და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს სამართლიან ზავის მიღწევის და ხალხთა ლიგის დამყარების საქმეში“. შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლიუცია სადაც სახალხო მთავრობას ნდობას უცხადებენ და ნათქვამია: „სახალხო კავშირი მოითხოვს, რომ მთავრობამ გადალახოს ყველა დაბრკოლება, რომელიც მათი მიზნების განხორციელებას ეღობება“.

# ბრძოლა კავკასიაში

გაზეთების გადმოცემით წითელ არმიელთა რიცხვი, რომელიც მოხალისეთა რაზმის წინააღმდეგ მოქმედობს 120,000 კაცამდეა. წითელ არმიელებს ხელმძღვანელობას უწევენ: პეტრენკო, გაიჩანეცი, სოროკინი, პოლუიევი. ძალა უფლება სოროკინს ჩამოართვა ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა, რადგანაც ხალხი მას არ უყურებდა ნდობის თვალით. ცენტრალური კომიტეტი იმყოფება პიატიგორსკში, რომლის თავმჯდომარეთაც არის რუბინი. ტყვია წამალი ლაშქარმა მიიღო მოსკოვიდან და ასტრახანიდან, რომელიც არ არის საკმარისი სერიოზულ ოპერაციების საწარმოებლათ. ესაა მიზეზი, რომ წითელ არმიელები იხევენ უკან. ბოლშევიკების განზრახვა ასეთია: თავი მოუყარონ სვიატოკრესტებთან ჯარებს, გაშალონ ფრონტი შელი, გლიცამდე, სადაც იმყოფებიან ბოლშევიკები და როგორმე შეუერთდნენ ცარიცინის ლაშქარს და ეგრეთ წოდებულ „მშიერ ჯარს“. სულიერი განწყობილობა ჯარისა არ არის სასარგებლო, უკმაყოფილებებს იწვევს ტანსაცმელის და ტყვია-წამლის სიმცირე. ჯარში რეორგანიზაცია ხდება. გააუქმეს კომიტეტები, უფროსებს ზევიდან ნიშნავენ, ჯარი მათ არ ირჩევს. გავრცელებულია ჯარში სხვადასხვა ავათმყოფობა. არც საკმარისი ფული არის, ჯარის ზოგ ნაწილს სამი თვის ჯამაგირი არ მიუღია.

# სოჭიდ ნ როსტოვამდე

ოქტომბრის პირველ რიცხვებში გავემგზავრე სოჭიდან როსტოვისკენ.

გემი, რომლითაც ჩვენ წავედით, მიდიოდა დატვირთული პირდაპირ როსტოვში. ნოვოროსიიდან რკინის გზით წასვლა სახიფათოა, რადგანაც ეგრეთ წოდებული „დობროვოლჩესკაია არმია“, რომლის მიზანიც არის ძველი წყობილება აღადგინოს, სასტიკათ სდევნის ქართველებს, ამიტომ ვარჩიეთ ზღვით მოგზაურობა.

სოჭიდან ქერჩამდის მოვედით 26 საათი—როდესაც ქერჩის ნავთსადგურში შევიხედეთ, შუა წყალში არის დაყენებული გერმანელების სადარაჯო, რომელიც არც ერთ გემს არ უშვებს, თუ მას ამისთვის სათანადო ნებართვა არ აქვს. ქერჩში და საერთოდ ყირიმში სრული ბატონ-პატრონები არიან გერმანელები, ამათ ხელშია ყველაფერი. გერმანიის მარკა ფასობს აქ 90 კაპ. რუსულ ფულზე. ყირიმს საკუთარი ფული არ აქვს, თუმცა ჰყავს საკუთარი მთავრობა. შეიარაღებული ძალა არავითარი არა ჰყავს გარდა საქალაქო პოლიციისა, (როგორც იქ ეძახიან) რომელნიც მარტო ხმლებით არიან შეიარაღებული.

ცხოვრება ნორმალურ კალაპოტშია ჩამდგარი და ქალაქს გარეგნული სიწყნარე აშკარათ ამჩნევია—მუშათა ორგანიზაციები ძალიან შევიწროებულია და თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეზღვაურების პროფესიონალურ კავშირს, ლეგალური ორგანიზაციები თითქოს აღარ არსებობენ—გამოდის პატარა ფორმატის მენშევიკური ს.-დ. გაზეთი, რომელიც ძალიან გაფრთხილებით სწერს... ზოგიერთა წისქვილებში და ქარხნებში განაახლეს მუშაობა—„დოკში“ და ზღვის ნაპირზე გაცხარებული მუშაობაა გემების შეკეთებაზე. სამაგიეროთ საცოდავათ გამოიყურება ამდენ ხანს გაჩერებული მეტალურგიული ბრიანის დიდი ქარხნები და როდის დაიწყებს მუშაობას არავინ იცის... ცხოვრება აქ საერთოდ ძვირია—პური გირვანქა 49 კაპეიკათ იძლევიან მხოლოდ ბარათებით. გემიდან გადმოსვლის დროს მგზავრებს ბარგს უსინჯავენ გერმანელები, ეძებენ იარაღს... საერთოდ გერმანელები თავაზიანათ ექცევიან ყველას.

ყირიმ-ქერჩსა და ყუბან-დონს შორის ეს ეს არის იწყებოდა ცოტა ნორმალური გემთა მიმოსვლა. ქერჩში ერთი დღის დგომის შემდეგ გავედით აზოვის ზღვით როსტოვისკენ—დავყავით გზაში 30 საათს.

როსტოვში მივედით და თავისუფლათ გადავედით ნაპირზე, არავის გაუჩხრე. კივართ—გერმანელები აქაც არიან, მაგრამ მათი გავლენა შინაურ ცხოვრებაზე ნაკლებია—მათი მარკა აქაც მუშაობს, მხოლოდ ფასობს 75 კაპიკათ. დონის მთავრობას საკუთარი ფული აქვს. ქალაქში შესვლისათანავე გრძნობთ, რომ სამრეწველო დიდ ქალაქში ხართ—აქ ცხოვრება სდუღს და გადმოდის—მაღაზიები საქონლითაა სავსე. რკინეულობაც ბევრია—მხოლოდ არა ჩანს მანუფაქტურა—სანოვაგე და პური (თეთრი გირვანქა 90 კ.) თავზე საყრელია—ფქვილი კარგი ხარისხისა 35—40 მანეთი ფასობს. როსტოვი თფილისივით გაჭედილია ხალხით. სასტუმროები, მრავალი ხეტიალის შემდეგ, ძლივს ვიშოვეთ, პატარა ოთახი დღე ღამეში 30 მანეთათ. როსტოვში ძალიან ბევრი სომხებია—მომეტებული ნაწილი ვაჭრები, ვინახულეთ ამხ. პ. ქუჩიძე და საქართველოს კონსული ბ. ქინქლაძე—რომელ კიევის ქართველი მისიისაგან არის დანიშნული და მასვე ექვემდებარება. ავუხსენით ჩვენი მისვლის მიზანი და ვსთხოვეთ დახმარება—დონის მთავრობის წინაშე.

ჩვენმა თანამემამულეებმა გაკვირვებით შემოგვხედეს და საყვედურის კილოთი გვკითხეს: გვაკვირვებს თქვენი ამბავი!—ღამის გუდა ნაბადი აეკრათ და აქედან ყველანი წავედით, თქვენ კი აქედან ფქვილის წაღებაზე ასე არხეინათ ლაპარაკობთ!. ნუ თუ მართალია ყოველივე ის, რასაც აქ სწერენ და ლაპარაკობენ? ნუ თუ ისე გაპარპაროსდა ქართველი ხალხი და მით უფრო, ქართველი დემოკრატია, რომ ყოველივე იმას, იქ თავისუფალ საქართველოში—ადგილი აქვს, რითაც აქ დღე მუდამ ცხვირს გვიხვრეტენ აქაური ქართველები? ჩვენ მოწყვეტილი ვართ, არ ვიცით რა ხდება საქართველოში, არავითარ ცნობებს არავინ არ გვაწვდის და იძულებული ვართ მოვისმინოთ და ავიტანოთ ყოველივე ის, რასაც ჩვენ სამშობლოზე და ნორჩ რესპუბლიკაზე სწერენ და გველაპარაკებიან... დარჩით ერთ ორ დღეს აქ და საკუთარის ყურით მოისმინოთ და საკუთარის თვალით დაინახავთ, თუ რა ატმოსფერაა აქ შექმნილი ქართველების შესახებ. ჩვენ გვაბრალებენ სუყველაფერს: რომ დიდი რუსეთი ერთმა მუჭა ქართველებმა დაანგრიეს—რომ ჩვენ მივითვისეთ რუსეთის აუარებელი ქონება, რომ ჩვენ უწყალოთ ვერეკებით რუსებს და სომხებს საქართველოდან. გვაგინებენ და გვლანძღავენ ყველგან: ქუჩაში რესტორანებში, ტრამვაის ვაგონებში—პრესაში ხმა ველარ ამოგვიღია, ჩვენს წინააღმდეგ ისეთი მოშხამული აგიტაცია სწარმოებს, რომ „პოგრომისაც“ კი გვეშინიან!

არ იფიქროთ, რომ ყოველივე ნათქვამი გადაჭარბებული იყოს ან გამოგონილი, ჩვენ ხელთა გვაქვს აუარებელი გაზეთები და ამონაჭრები, რომელნიც დაამტკიცებენ ყოველივე ჩვენს ნათქვამს“ აე დაამთავრა სიტყვა ბ ნმა ქინქლაძემ.

მართლაც, დონისა და ყუბანის ოლქებში ვერ ნახავთ ვერც ერთ გაზეთს, რომ არ იყვეს რაიმე ყალბი ცნობა და ჭორი საქართველოს რესპუბლიკაზე და მის მთავრობაზე მოთავსებული. ერთი და იგივე ჭორი იბეჭდება რამდენიმეჯერ, რომ წაუშლელი შთაბეჭდილება დასტოვოს მკითხველზე. მთელ დონის ოლქში არც ერთი დემოკრატიული გამოცემა არ გამოდის, რომ საშუალება მიეცეთ იქაურ ქართველებს რაიმე პასუხის გაცემისა.

მერე ვინ არიან უმთავრესი მიზეზნი ამოდენი ლვარძლის ნთხევისა? ვინ და სომხის ვაჭარ-შოვინისტები ბ-ნ გრ. ჩალხუშიანის მეთაურობით. ყოფილი ხულიგან-ბიუროკრატ-ჩინოვნიკები... უმთავრესად კი სომხის შოვინისტები, რომლებმაც ოსმალეთის სომხეთში დაღუპეს სომხის ხალხი და ახლა უნდათ ესევე ბედი მიაკუთვნონ ამიერკავკასიის სომხის დემოკრატიასაც—რაც მათ ბაქოში უკვე ჩაიდინეს—ამ ვაჟბატონებს ვერ მოუნელებიათ საქართველოს დემოკრატიული მართვა-გამგეობა და ყოველ საზიზღარ საშუალებას ხმარობენ რამენაირათ იგი დაანგრიონ.

მთელ დონის ოლქში დემოკრატიული აღარა არსებობს რა—სოციალისტურზე ხომ ლაპარაკიც მეტია: სიტყვა „რესპუბლიკა“, „ამხანაგო“ და „წითელი დროშა“ აქ კარგა ხანია „მოდიდან“ გამოსულა—ლეგალური ორგანიზაციები აღარ არსებობენ. ყოველისფერი დანგრეულია—წარსული თავისუფლების აქ მხოლოდ მოგონება ღაა ეს კარგათ უნდა დაიხსომოს ქართველმა დემოკრატიამ და განსაკუთრებით უნდა უფრთხილდებოდეს ჩვენ სახალხო გვარდიას,—რომელმაც შესძლო საქართველოში რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება.

დონისა და ყუბანის ოლქებში ცხარე შეტაკებები ბოლშევიკებსა და დონის ყაზახთა შორის ჯერ კიდევ სწარმოებს. ყაზახებს ეხმარება „მოხალისეთა ჯარი“. სტანიცებში მრავალ ალაგას საყდრის გუმბათები დახვრეტილია ყუმბარებით. როდის მოელება სამოქალაქო ომს ბოლო, არავინ იცის!

ყაზახებს და „დობროვოლცელებს“ იარაღი და ტყვია წამალი ნაკლებათ აქვთ... ჩინელ მუშებს მთელ დონის ოლქში იჭერენ და საზღვრებიდან ერეკებიან, რადგან უკანასკნელნი ბოლშევიკებს ემხრობიან. მიუხედავათ ზემო მოყვანილისა, მაინც შესაძლებელია ყუბან დონიდან ფქვილის და ზოგიერთ საგნების გამოტანა, ამისათვის აუცილებლად საჭიროა იქ გაიგზავნოს კარგი წიგნის მცოდნე პირები და ერთ თვეს მაინც უნდა დარჩნენ იქ. სამი დღე როსტოვში ყოფნის დროს, სადაც კი ხმა მიგვიწვდა, ვაძლევდით ცნობებს საქართველოს შესახებ და ვაბათილებდით ყალბ ხმებს.

ს. მაისურაძე.

# რკინის გზაზე

**ხადგური ავჭალა.** როგორც ეტყობა ჩვენს სამხედრო სამსახურში მოიძებნებიან იმისთანა ელემენტებიც, რომლებიც წესიერების მაგიერ ანარქიის შექმნას უწყობენ ხელს. 28 ოქტომბერს სადგ. ავჭალაში მოვიდა ოფიცერი ბლ. მგალობლიშვილი, რომელიც არის გაგზავნილი თავისი რაზმით სოფელ გლდანში შეშის დასამზადებლათ სახაზინო თეატრისათვის და იარაღის ასაყრელად საგურამოს რაიონში. ზემოხსენებული ოფიცერი თავისი ორი ჯარის კაცით და თფილისის მაზრის მილიციონერით ისაკა მჭედლიშვილით, რომელიც მათ თან ახლდათ ძალზე მთვრალები იყვნენ. მგალობლიშვილმა იქ მყოფ მეცხვარეებს, რომლებსაც მოუღიოდათ რამდენიმე ფარა ცხვარი ყარაიაზისაკენ გასატარებლათ, აჭყარა იარაღი და მისცა წინადადება მიეცათ თითო ფარაზე ოცი ცხვარი, თუ არა გზას არ მისცემდა გასავლელათ. მათ უპასუხეს რომ ისინი მოჯამაგირეები არიან, პატრონმა კი რამდენიც უნდა იმდენი მოგცეთ როცა მოვაო. ბ. მგალობლიშვილმა თავის ამხრებით ასტეხა სროლა, მოარტყეს ტყვია რკინის გზის წყლის ქვაბს, საიდანაც გადმოხეთქა წყალმა, შემდეგ გასდგნენ [illegible] მთელს სოფელს თავზარი დასცეს [illegible] ლით.

წესიერების აღსადგენათ და სროლის მიზეზის გამოსარკვევათ მივიდა რკინის გზის სადგ. ავჭალის მილიციონერი უშვერიძე, რომელსაც მისვლისას დაუწყეს სროლა, აჰყარეს იარაღი და თავხედურათ უბრძანებდა გმირი ოფიცერი დაეჩოქნა მის წინ. უშვერიძე გამოექცა მათ სადგურისაკენ და წამსვე შეატყობინა თფილისში რკინის გზის სახალხო გვარდიის შტაბს და მილიციის უფროსს. ბ. მგალობლიშვილი შევიდა სადგურის ტელეგრაფის განყოფილებაში და ურცხვი პირით დაუწყებით უბრძანებდა, რომ გამჰყოლოდა მას ტელეგრაფზე მომუშავე ქალი, მაგრამ მთელმა სადგურის მოსამსახურეების თხოვნამ მასზე იქონია გავლენა და ქალს გაანება თავი. გაიქცნენ ეს ვაჟ-ბატონები ისევ მეცხვარეებისკენ სროლით და დასჭრეს სამი მეცხვარე ძმანი მუხუკურები და სეთურიძე. მოჰკლეს 5 ცხვარი. როდესაც მგალობლიშვილს მოსწყენიყო თავხედური დროს ტარება, წაიღო ერთი ცხვარი დუქანში და აქეიფებინებდა. ამ დროს თფილისიდან უკვე მოვიდნენ გვარდიელები და მილიციონერები, სულ 15 კაცამდე, შემოარტყეს ალყა დუქანს და ოთხივენი შეიპყრეს და ჩამოიყვანეს თფილისში. დაჭრილი მეცხვარეები კი გაგზავნეს საავადმყოფოში. ბ. მგალობლიშვილის ასეთი ქცევა პირველი არ ყოფილა: რამდენიმე დღის წინად სოფ. გლდანშიაც დასჭრა მეღუქნე. თავის ჯარისკაცებს ხშირად უმიზნო სროლით აწყევინებს ტყვია-წამალს, როცა მას მოესურვება. საჭიროა აღვირ-ახსნილ მგალობლიშვილის ქცევას მიექცეს ყურადღება.

ს. მცხეთელი.

# დონისა და ყუბანის ოლქებში

**ახალი მთავრობა.**

მოზდოკში შესდგა თერგის ოლქის ახალი კოალიციონური მთავრობა, რომელიც ემყარება ყაზახებს და ოსებსაც. ამ მთავრობამ კავკავის ბოლშევიკებს წარუდგინა ულტიმატუმი ნუ ხვრეტენ საერთოდ არა-ბოლშევიკებს და კერძოდ—ოფიცრებს.

**დოქტორ ვინოგრადოვის დახვრეტა.**

სამხედრო სასამართლოს დადგენილებით ეკატერინოდარში დახვრიტეს დემოკრატიულ საბჭოს თავმჯდომარე, მენშევიკი, დ-რი ვინოგრადოვი.

**საზღვრების დახურვა.**

ყუბანის მთავრობამ დაკეტა საზღვრები ლტოლვილთათვის და იმ პირთათვის, რომლებიც მუდმივად ყუბანის ოლქში არ ცხოვრობენ.

**მოხალისეთა და ციმბირის ჯარების გაერთიანება**

იტყობინებიან, რომ მოხალისეთა ჯარის შტაბში შევიდნენ ციმბირის ჯარის წარმომადგენლებიც. მოხდა არმიათა გაერთიანება და ამის გამო მალე დაიწყება საერთო შეტევა ბოლშევიკების წინააღმდეგ ოთხი კორპუსის მოხალისეთა და 14 კორპუსის ციმბირის ჯარებისა.

(„ოდ. დ.“)

# ფინეთში

**საფრანგეთის პროტესტი ფინეთში მეფის არჩევის გამო.**

ფრანგულ გაზეთებში საფრანგეთის მთავრობის შემდეგი ნოტაა გამოქვეყნებული: „როდესაც საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობამ იცნო ფინეთის დამოუკიდებლობა, ის მოიქცა თანახმად სეიმის კონსტიტუციის საარჩევნო კანონისა. საფრანგეთის მთავრობამ ეს ჩაიდინა იმიტომ, რომ სურდა ანგარიში გაეწია ფინების ნაციონალურ ზრახვებისათვის, რადგანაც ფინეთი, შედიოდა რა რუსეთის იმპერიაში, მუდამ სცდილობდა დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა და ინდივიდუალობა, ამის შემდეგ საფრანგეთმა დანიშნა თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი ფინეთში, მაგრამ შემდეგში სეიმმა დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და გავლენა. არა კანონიერი მოქმედებების შემდეგ და არა კანონიერი გზით რესპუბლიკის მაგიერ დაარსდა მონარქია და მეფედ მოწვეულ იქნა გერმანელი პრინცი. საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ სცნობს ფინეთის ამ ახალ მთავრობას და თავის ოფიციალურ წარმომადგენელსაც არ ნიშნავს გელსინგფორსში. ის არ სცნობს იმ მთავრობას, რომელმაც აირჩია მეფედ პრინცი იმ ქვეყნისა, რომელთანაც ჩვენ ომს ვაწარმოებთ. მარტო ის ფაქტი, რომ მეფეთ მოწვეულია ეს პრინცი—საკმაოა იმისთვის, რომ ფინეთის დროებითი მთავრობის ჩვენ მიერ წინანდელი ცნობა უბლა გაუქმებულ იქნას. არა ოფიციალური კავშირის დაჭერა ამ მთავრობასთან უნდა შეწყვეტილ იქნას. საფრანგეთის მთავრობა სტოვებს გელსინგფორსში თავის წარმომადგენელს კონსულის უფლებებით“.

ფინეთის პრესის აზრი ამ ნოტის გამო.

გაზეთები არკვევენ საფრანგეთის მთავრობის იმ განცხადებას, რომელიც მეფეს არჩევას კანონიერად არ სცნობს და უარჰყოფს ფინეთის დამოუკიდებლობის ცნობას, რომელიც წინედ საფრანგეთმა დაადასტურა. გაზეთი „ტაგენს პრესსი“ სწერს: „თქვენ ხომ არა ხართ, რომელთაც გწადიათ იმპერიალისტური და დიდმპყრობელური რუსეთის აღდგენა? ნუ თუ ამ მიზნის მიღწევას უნდა მსხვერპლად შეეწიროს ფინეთის დამოუკიდებლობა“. გაზეთი „სვენსკა ტიდნინგენი“ აცხადებს: „ფინეთმა აირჩია თავისი გზა, ემორჩილებოდა რა თავის სიმპატიას და არ გადაუხვევს თავის კურსს რაიმე შემთხვევითი კონიუნქტურის გამო“. გაზეთი „უსი ზუვე“ ირწმუნება, რომ ეს ცდა ფინეთის მთავრობის დაშინებისა, ნაყოფს ვერ გამოიღებსო.

აჯანყების გამო.

სეიმის ყოფილ დეპუტატებს გამოუტანეს განაჩენები აჯანყებაში მონაწილეობის გამო. გასამართლებულ იქნა 21 დეპუტატი: ამათში 6 მიუსაჯა. სიკვდილით დასჯა, დანარჩენებს კატორღა მიუსაჯეს 3—12 წლამდე. ამავე დროს გავრცელდა ცნობები, რომ დატუსაღებულია სენატორი ტანნერი, სოციალისტების ერთ-ერთი ლიდერი, რომელსაც მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღია. დატუსაღებას იმით ხსნიან, რომ იგი ეხმარებოდა იმ პირებს, რომლებიც აჯანყებაში პირდაპირ მონაწილეობას იღებდენ.

## ქუთაისის ამ-ბარბი

ქალაქის თვითმმართველობა და ახალგაზრდა მუშები.

ქალაქის საბჭომ 24 ოქტომბრის სხდომაზე სხვათა შორის ერთი საყურადღებო დადგენილება გამოიტანა: მან დაამტკიცა ხელოსანთა საღამოს სკოლისთვის (რომელიც ქალაქმა მიიღო თავის მფარველობის ქვეშ) გადასდოს რამოდენიმე ასეული მან., მაგ., განათებისათვის, ბავშვებისათვის უფასოდ სახელმძღვანელობის დასარიგებლად და აგრეთვე მოულოდნელი ხარჯებისათვის სკოლას გაუხსნეს კრედიტი.

ერთი შეხედვით აქიმდენი არაფერია, რომ ვინმემ მას დიდი ყურადღება მიაქციოს. ქალაქმა მიიღო სკოლა და ვალდებულიც არის მას უპატრონოს. მაგრამ ვინც იცნობს დღევანდელ ქალაქის გამგეობის ფინანსიურ მდგომარეობას, როდესაც ქალაქი დღე დღეზე ცხოვრობს და მოსამსახურეებს თვით თვის ჯამაგირი აქვთ მიუღებელი და ამ ნიადაგზე გაფიცვაც კი მოხდა ამ დღეებში ცეცხლის მქრობელ რაზმში და ქალაქის სანიტარული მუშების, ასეთ დროს ქალაქის ხელმძღვანელებს თავისუფლად შეეძლოთ უარი ეთქვათ პატარა მუშებისათვის უფასოდ სახელმძღვანელოების დარიგებაზე, რომელსაც რამოდენიმე ასეული მანეთი სჭირია. ამ შემთხვევაში ქალაქის ხელმძღვანელები, ფორმალურ მხარეს რომ თავი დავანებოთ, ზნეობრივადაც მართალი იქნებოდენ. რადგან დღიურათ ქუჩაში მომუშავე მუშებისათვის, მიუხედავათ ქალაქის ხელმძღვანელების ათასნაირი ცდისა, ვერ მოუციათ მათთვის უკანასკნელი ლუკმა პურის შესაძენი ფული და ამ ნიადაგზე მუშებში უკმაყოფილება ხდება, ასეთ დროს სკოლის ნივთიერი კითხვა შეეძლოთ გადაედოთ.

მაგრამ ასე არ მოიქცენ და მიუხედავად ფინანსიურად უკიდურესი გაჭირვებისა, ქალაქის გამგეობა ცდილობს ყოველ საშუალებას მიმართოს და ამ სკოლის მოთხოვნილება დაკმაყოფილოს და ამით ხელი შეუწყოს იმ პატარა მუშების გათვითცნობიერებას, რომელიც ცხოვრებას გამოურეკავს ბაზარზე ლუკმა პურის საძიებლათ.

ასეთი ახალგაზრდობის მიხედვა ყველა ჩვენთაგანის მოვალეობა უნდა იყოს. ვისაც უნდა რომ ძლიერი იყოს მუშათა კლასი თავის შეგნებით, ვისაც უნდა, რომ მკვიდრი იყოს მისი მომავალი, მან ამ ახალგაზრდებს უნდა მიხედოს, ის უნდა შეეცადოს უპატრონოს და გათვითცნობიერება შეიტანოს იმ პატარებში, რომლებიც სადღაც ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში სახელოსნოებში და საფაბრიკოებში არიან. ხშირათ მათ სცემენ და ლანძღვა გინების მეტი არაფერი ესმით. სამწუხაროთ ჩვენდა, ბევრ ალაგას ამ ახალგაზრდებს ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ, რის გამო ძალიან ბევრი ახალგაზრდა მუშა ეღუპება მუშათა კლასს.

რამდენათაც ვიცით, ჩვენს ნორჩ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მხოლოდ ქუთაისში არის ასეთი ახალგაზრდა მუშებისათვის საღამოს სკოლა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჩვენი ქალაქის დემოკრატიული თვითმართველობა როგორც დღემდის არც აწი მოაკლებს თავის ყურადღებას ამ სკოლას და მით ხელს შეუწყობს ამ სკოლის ყოველ მხრივ მოწყობას და კარგ ნიადაგზე დაყენებას, რითაც ერთი ასათ გააძლიერებენ მუშებში იმ ღრმა პატივისცემას და სიყვარულს მისდამი, რომელიც დღემდის არის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ და იმედი გვაქვს, რომ ქუთაისის ქალაქის გამგეობის მაგალითს სხვა ქალაქის გამგეობებიც მიბაძავენ და მოაწყობენ ასეთ სკოლებს, რითაც ხელს შეუწყობენ ჩვენს ნორჩ დემოკრატიულ რესპუბლიკას აღიზარდოს შეგნებული და გათვითცნობიერებული დემოკრატია.

ი. ნატაშვილი.

## ცნობები

ჯარისკაცი ივანე (იონა) პავლეს ძე კილოსანია რვა წელიწადია, რაც მსახურობს. ნახევარი ამ დროისა რუსეთში გაატარა, დანარჩენი კავკასიის სანაპიროს დამცველთა რაზმში. უკანასკნელ ხანებში ბაქოს ჯარისკაცთა დეპუტატ. საბჭომ დასტოვა ქ. ბაქოში, რომელიც ირიცხებოდა 279 ქვეითა დამხმარე ერთეულში და განაგებდა ამავე ერთეულის ტანისამოსს, სახელოსნოს, როგორც ამ საქმის სპეციალისტ ოსტატი.

პირველ იანვრის შემდეგ მისგან არავითარი ცნობა არ არის, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ ყველას და განსაკუთრებით ბაქოდან ჩამოსულთ, თუ რამე იციან მის შესახებ, გვაცნობენ შემდეგ მისამართით: ჭიათურა, მრეწ. საბჭოს ბიბლიოთეკა, პლ. კილოსანიას.

## ს.-დემ. პარტიაში

თფილისი, 20 ოქტომბერს შესდგა მეექვსე რაიონულ კოლექტივის თფილისის ორ. ს.-დ. მ. პ. წევრთა საერთო პარტიული კრება, კრებას დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება კოლექტივის მუშაობის შესახებ, სარევიზიო კომისიის მოხსენება, რეორგანიზაცია კოლექტივისა, მოხსენება მიმდინარე მომენტზე (პარტიული ყრილობა და მასზედ შესამუშავებელი დირექტივები), არჩევნები დელეგატისა პარტიულ ყრილობაზე, არჩევნები თფილისის კომიტეტის წევრისა და მიმდინარე კითხვები. კრებას თავმჯდომარეობდა ი. ირემაშვილი. თავმჯდომარე კრების სურვილის თანახმად მოხსენებას აკეთებს ქართულ და შემდეგ რუსულ ენებზე მიმდინარე მომენტზე, მომხსენებელმა დაახასიათა მთელი მიმდინარეობა რუსეთის რევოლუციისა და ხაზგასმით აღნიშნა მიზეზები ამიერ-კავკასიის და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის აუცილებლობა და მასთან ამ დამოუკიდებელ საქართველოს მტრებს მთავარი ყურადღება მიაპყრო კრების მოწინააღმდეგე პარტიების მოქმედებას ამ საქმეში და განსაკუთ კი დაშნაკცუტიუნის პარტიას, რომელიც ორმაგ პოლიტიკას ატარებს. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენ პარტიაში არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც წინააღმდეგია დამოუკიდებელ საქართველოსი და ეწევიან ჩუმათ ბნელ საქმეს. მომხსენებელი ურჩევს ასეთ ამხანაგებს დაანებონ თავი ბნელ საქმეს, ან გაიზიარონ პარტიის პოლიტიკა და ან აშკარათ უარჰყონ ის. მომხსენებელი ვრცლად ეხება პარტიულ ყრილობის მიზანს და არკვევს ყველა კითხვებს მომავალ პარტიულ ყრილობისას. მომხსენებლის შემდეგ განმარტებას იძლევა ამხ. ღარიბოვი დაშნაკცაკანების შესახებ. ის აღნიშნავს სომხის ერის ტრაგიზმს და ხაზგასმით ამბობს, რომ დაშნაკცაკ. წარმოშობის ისტორიის გადათვალიერება ნათელჰყოფს ამ პარტიის გაძლიერებას სომხის დემოკრატიაშიო. კრება იმუშავებს დირექტივებს პარტიულ ყრილობისას და ირჩევს დელეგატათ ი. ირემაშვილს. შემდეგ კრება გადადის შინაურ საქმეებზე. სანამ შეუდგებოდეს კრება შინაურ საქმის განხილვას ფეხზე ადგომით პატივს სცემს ფრონტზე დაღუპულ ამხანაგების: ნიკოლოზოვი გ, მერიძე დ, ვახტანგაშვილს, კანდაშვილის და უდროოთ გარდაცვალებულს პარტიულ მუშაკის საოლქო კომიტეტის ხაზინადრის აკ. გობრონიძის და ძველი პარტიულ მუშის გრიგოლ ნოზაძის ხსოვნის პატივსაცემათ. კრება სურვილს გამოსთქვამს აირჩიოს ამ უკანასკნელის დაკრძალვის კომისია სამი კაცისაგან შემდგარი. არჩეულ იქნა: ან. გორიტაშვილი, ვ. მეძმარიშვილი და ს. დალაქიშვილი.

ამის შემდეგ კრება ისმენს მდივან მიშა ნაკაიძის მოხსენებას კოლექტივის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა მოახსენა კრებას მოკლეთ კოლექტივის მთელი წლის ანგარიში, რაიონის დაარსებიდან დღემდის. შეეხო კოლექტივების მუშაობის დროის მომხდარ ცვლილებებს და პირობებს. აღნიშნა წევრთა რიცხვის ზრდა და მათი შემადგენლობა. შეეხო უმთავრესად უკანასკნელ კოლექტივის შემადგენლობის მუშაობას, და ბოლოს განიხილა ფინანსიური მხარე.

რაიონის მოხსენების შემდეგ, კრება ისმენს ქალთა ორგანიზაციებისაგან მოხსენებას მისი მუშაობის შესახებ. დაბოლოს სარევიზიო კომისიის წევრი მოხსენებას აკეთებს კოლექტივის მუშაობის შესახებ. კრება ღებულობს მოხსენებებს, და მადლობას უცხადებს მდივანს და ქალაქთა ორგანიზაციას მუყაით მუშაობისათვის. კრებამ მოისმინა კოლექტივის წევრის ვ. ათაბეგოვის მოხსენება კოლექტივის რეორგანიზაციის შესახებ და დაადგინა მოახდინოს არჩევნები დღესვე. არჩეულ იქნა კოლექტივში შემდეგი 27 წევრი და ხუთი კანდიდატი: ი. ირემაშვილი, ვ. ათაბეგოვი, მ. ნაკაიძე, რ. შ ნ-ძე, მ. ტერელაძე, ვ. ალიხანოვი, რ. გრიგოლაშვილი, დ ბუაჩიძე, დ. პაპიშვილი, ან. გორიტაშვილი, ს დალაქიშვილი, გ. ნიკოლოვი, შ. მჭედლიშვილი, ვ. ანწკირველი, ან. პიპაშვილი, ბ. ჯორჯიაშვილი, ის. შიკბაძე. კანდიდატებად: ბანდუროვ სანდრო, გამცემლიძე, კვინიხიძე ვასო, პორრუფინ არ., სარქისოვ არამ.

ნა.

## მუშათა შორის

ძ. ჭიათურა. 20 ოქტომბერს მოწვეული იყო შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოსამსახურეთა კრება. კრების მიზანს შეადგენდა მოსამსახურეების ჯამაგირების მომატება. საქმე შემდეგში იყო: პირველ სექტემბერს მოსამსახურეებმა მრეწველთა საბჭოს მოსთხოვეს ჯამაგირების მომატება, ორასი მანეთი თვეში. ამ მოთხოვნილებამ გააწვავა საქმე საბჭოსა და მოსამსახურეებს შორის, რის გამო თვით მრეწ. საბჭოსაგან გამოწვეული იქნა ქუთაისის გუბერნიის შრომის კომისარი. საქმეში ჩაერია აგრეთვე მუშათა საბჭო, ქალაქის თვითმართველობა და შემდეგნაირად მოგვარდა: მრეწველთა საბჭოს მოსამსახურეებისათვის უნდა მოემატა ჯამაგირები შემდეგი სახით, ვინც მრეწ. საბჭ. ბინაზე ცხოვრობს მას 100 მ., ვინც კერძო ბინაზე—მას 150 მანეთი და ვინც ბინას, საჭმელ-სასმელს უფასოდ ღებულობს ნაგულისხმევია (სავეთმუყოფო) მას კი 50 მ. თვეში. ამ სახით ეს ჯერ შეიმუშავა თათბირმა და ბოლოს ეს წინასწარი შეთანხმება გადმოიტანა მოსამსახურეთა კრებაზე. მოსამსახურეებიც დაეთანხმენ ამ წინადადებას და მოსალოდნელი გაფიცვაც მოიხსნა.

მას შემდეგ მოსამსახურეებს ორი თვე არ მიუღიათ ჯამაგირები და ფიქრობდენ: ჯამაგირებს მომატებულს მივიღებთო, მაგრამ ეს დანაპირები მრეწ. საბჭოსაგან არ გამართლდა და ჯამაგირები მოუვიდათ არა მომატებით, არამედ —ძველი სახით. ამ მდგომარეობამ ყველა მოსამსახურე აადელვა, რის გამო მოწვეული იქნა საჩქარო კრება.

ცოტა ხნის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა: არ მიიღოს ორი თვის ჯამაგირები და შვიდი დღის ვადა მისცა მრეწ. საბჭ., რომ დაეკმაყოფილებია მათი მოთხოვნილება. თუ ამ ვადაში მრეწ. საბჭო არ დააკმაყოფილებდა მოსამსახურეებს და არ დაურიგებდა რაც შეპირდა, იმ შემთხვევაში უნდა გამოცხადებულიყო გაფიცვა. საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო. საქმეში ჩაერია ხელახლა მუშათა საბჭო და შრომის კომისრის რწმუნებული. მოსამსახურეებზე ვერც მუშათა საბჭომ და ვერც კომისარმა ვერავითარი გავლენა ვერ იქონია. კრებამ ხელახლა დაადასტურა წინანდელი გადაწყვეტილება გაფიცვის შესახებ და დაიშალა. მეორე დღეს მოსამსახურეთა კავშირის გამგეობამ ასევე მოიწვია კრება, მრეწველთა საბჭოს წევრის ის. ვარაზაშვილის რჩევით. მოქალაქე ვარაზაშვილმა მოკლე მოწოდებით მიმართა მოსამსახურეებს, აუხსნა დღევანდელი საერთო მდგომარეობა და სთხოვა გაფიცვა რამოდენიმე დღით შეეჩერებიათ და საქმის მოგვარება თვით მიიღო თავის თავზე. კრება დაეთანხმა ვარაზაშვილის და ქალაქის თავის პ. მოდებაძის რჩევას და გაფიცვა დროებით მოხსნილ იქნა ჯამაგირები, რომელსაც არ ღებულობდენ გადასწყდა აიღონ. სამწუხაროთ, მოსამსახურეების ამ მოძრაობის დროს ერთ არა სასურველ მოვლენას ჰქონდა ადგილი. როდესაც მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გამოვიდა კომიტეტის დადგენილებით და მოუწოდა კრებას, რომ მიეღოთ მოსული ორი თვის ჯამაგირი და გაეგრძელებიათ ულტიმატუმის გაფიცვის ვადა, ამას საწინააღმდეგო წინადადებით წინ გადაეღობა კავშირის გამგეობა და მოუწოდა მოსამსახურეებს არ დაეჯერებიათ არც მუშათა საბჭოსთვის და არც შრომის კომისრის რწმუნებულისთვის, ესენი გაიძახოდენ: ჩვენ არ ვემორჩილებით მაგათ. პატივს ვსცემთ საბჭოს, მარა ვიცლეცები, მუშ. საბჭოს „იარლიკით“ ზევიდან გვახვევენ თავზე თავის გადაწყვეტილებას, ეს ჩვენთვის არ არის სავალდებულოვო, ამას სჩადის ჩვენი მუშათა დეპ. საბჭოს ორი წევრი: აი ამ ორმა პირმა გვერდი აუხვია მათი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას და თავის აგიტაციით დასცეს მუშათა საბჭოს პრესტიჟი. საჭიროა ამ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მუშათა საბჭომ და უღირსი წევრები თავის ორგანიზაციიდან გააძევოს.

ს. სიხარულიძე.

ძ. ბორჯომი. თანახმად მთავრობის კოლექტიური ხელშეკრულობისა მუშებისადმი პირველ აუცილებელ საგნებით მიწოდებისა მთავრობიდან ბორჯომის მამულების გამგემ მიიღო ერთი პარტია ხორბლეულობა, რომელიც გადაუცა მუშებს თავიანთ განკარგულებაში, რაც დაინაწილეს მუშებმა ნორმის მიხედვით, პური ცხვება კარგი ღირსებისა და ღირს გირვანქა 1 მან. 50 კ. უნდა ითქვას, რომ მთავრობის ასეთმა ნაბიჯმა პურის ბაზარზე ცვლილება მოახდინა. თუ წინათ ათასნაირ ნარევი პურის მგავსი გამოჰქონდათ სპეკულიანტებს ბაზარზედ და ერთი გირ. ფასობდა 4 მანეთს, დღეს მოულოდნელათ დაიკლო ფასებმა, მაგალითად გირ. ფასობს 3 მან. და 2 მან. 50 კაპ. მთავრობის ნაბიჯმა თვით მოქალაქეებშიაც გამოიწვია დიდი თანაგრძნობა. საჭირო არის თვით მუშები კარგათ ჩაუკვირდენ მდგომარეობას და არ აჰყვენ ზოგ ერთ დემაგოგებს, ვითომც მთავრობას ხელშეკრულობანი მუშებისადმი დაერღვიოს.

ბორჯომის მუშები დღეს კარგათ არჩევენ მტერსაც და მოყვარესაც. საჭირო არის მუშებმა ორგანიზაციულათ გასცენ პასუხი ასეთ გამოსვლებს. პურის მიწოდებასთან ერთათ საჭიროა მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს მუშებს სამანუფაქტურო საქონლის და ტყავეულობის მიწოდებით, თუ ეს მოსახერხებელი დარჩება.

ბორჯომის რაიონის ს. დ. მ. პ. კომიტეტის დადგენილების თანახმათ ამ მოკლე დროში მოეწყობა ბორჯომის საწარმოვო დარგის მუშათა საავათმყოფო კასის გაერთიანებული მუშაობა. ამასთანავე მოეწყობა პროფესიონალური კავშირები, რაც ხელს შეუწყობს მუშების დარაზმვას მუშურ ორგანიზაციებში.

ვ მატრონესშვილი.

## პროვინცია

ბორჯომი. 1909 წლიდან ბორჯომში დაარსებულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილება. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებას დაუარსებია ბორჯომში ერთი სამკითხველო მხოლოდ, რომელსაც მიმდინარე წლის 1 იანვრამდის ყავდა 100 მდე წევრი. სამკითხველო ვერ აზიდავდა ხალხის დემოკრატიულ ნაწილს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ვერ პოულობდა შიგ მის სულიერ საზრდოს. ამის გამო დემოკრატიამ მოინდომა ამ კულტურულ დაწესებულების სათავეში ჩადგომა და გაძლიერება. იანვრის შუა რიცხვებში აირჩია ახალი გამგეობა. ახალმა გამგეობამ თავდაპირველად ყურადღება მიაქცია სამკითხველოს ბინას, რომელიც ყოვლად შეუფერებელი იყო სივიწროვისა და სიბნელის გამო. გამგეობამ ის გადაიტანა „ძველი კავალერიის“ შენობაში, სადაც დარჩა სამკითხველო ამ წლის 1-ლ ოქტომბრამდის სამწუხაროდ, ვერც ამ ახალ ბინაზე ემსახურა სამკითხველო თავის დანიშნულებას, ვინაიდან ამ ბინასაც რეკვიზიცია უყვეს და მოათავსეს შიგ სასურსათო კომ., რის გამო გამგ. იძულებული გახდა დროებით დაეხურა სამკითხველო. 1 ოქტომბრიდან გამგეობამ მოუძებნა სამკითხველოს ახალი ბინა რემერტოვის ბაღის კუთხეში შესაფერი პატარა შენობა (კიოსკი) და შიგ მოათავსა. ამასთანავე გამგეობამ საჭიროდ დაინახა წიგნის მაღაზიის გახსნა, რის შესახებ შეკრიბა საჭირო ცნობები თფილისში მთავარ გამგეობასთან და სხვა დაწესებულებებში. ხსენებული დაწესებულებები გამგეობას თანაგრძნობით შეხვდენ, მთავარ გამგეობამ გაუხსნა ბორჯომის განყოფილებას კრედიტი და დაიწყო ჯერჯერობით რვეულებით და სკოლებს სხვადასხვა სახელმძღვანელოებით ვაჭრობა. ამ დროს გამგეობას წინადადებით მიმართა ადგილობრივმა წიგნის მაღაზიის პატრონმა ბ ნმა ვ ალ. მოისეევმა, რათა გამგეობას შეეძინა მისი მაღაზია. ვინაიდან გამგეობას საამისო თანხა არ ჰქონდა, მან მიმართა ადგილობრივ ქველმოქმედ პირებს დახმარებისათვის. პირველადვე თანაგრძნობით შეხვდა დავით ქებაძე, რომელმაც თავისი სიტყვა საქმით აქცია და დაუთმო საზოგადოებას უსარგებლოთ 17,000 მ. ამ ფულით გამგეობამ შეიძინა ხსენებულ მოისეევის წიგნის მაღაზია და გახსნა ვაჭრობა. მაღაზიასთან ერთად შეძენილია საბეჭდავი სტამბაც „ამერიკის“ სისტემისა, რომელსაც აქვს საკმაო რიცხვი რუსულ-ქართული შრიფტისა. მადლობის ღირსია ბ ნი დათიკო ქებაძე, რომელმაც დახმარება აღმოუჩინა საზოგადოებას ხსენებულ ქონების შეძენის საქმეში. გამგეობას კი ვუსურვებთ ენერგიულ მუშაობას საზოგადოების საკეთილდღეოთ.

ნოდე.

ძალ. ხაშური. 20 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ხაშურის ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციის საერთო კრება, რომელსაც მიზნათ ჰქონდა განხილვა იმ მუშაობისა და მეცადინეობისა, რომელსაც ეწეოდა ჩვენი ორგანიზაცია რევოლუციის დაწყებამდე და აგრეთვე მის პირველ ხანებში. ხოლო შემდეგ, სხვადასხვა მიზეზების გამო ხსენებული ორგანიზაციული მუშაობა შეწყდა. კრებას დაესწრო საკმაო რიცხვი ამხანაგებისა. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, 2) წევრთა რეგისტრაცია, 3) ხელმძღვანელ კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, მასთანვე სხვა მორიგი კითხვები.

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მნიშვნელობაზე მოხსენება გააკეთა ვარ. მიქაძემ, რომელმაც გააცნო კრებას ხსენებული ტიპის ორგანიზაციების მოქმედება ევროპაში და რუსეთში, შემდეგ მან მოუწოდა ამხანაგებს სერიოზულ და ეტნოგრაფიულ მუშაობისაკენ.

ორგანიზაციაში ითვლება ჯერ-ჯერობით 60-მდე წევრი, სადაც მოწაფეთა გარდა შედის სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდობა.

საწევრო გადასახადი ერთი მანეთია, ერთდროული დახმარება კი 3 მან.

ორგანიზაციას აქვს დათმობილი მუშათა კლუბი, სადაც ხდება საერთო კრება წევრებისა.

კომიტეტში არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარეთ ვარ. მიქაძე, მის ამხანაგათ დ. სხილაძე, მდივნათ პლ. სალია; წევრები: ალ. თაბუკაშვილი, კ. ტაბატაძე, კ. სუხიაშვილი და სოლ. გამბაროვი. სარევიზიო კომისიაში: ლევან ქორიძე, ივ. ლიდა ჭანკოტაძე და ლ. ძინძიბაძე.

პასუხისმგებელ კორესპონდენტათ დასახელებულია ვარლამ მიქაძე და პლ. სალია.

პან—ტონ.

## განცხადებანი

ექიმი
### ლ. ა. სარალიძე
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. აჭარის აუდიტორიის ახლო.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
### პეპელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

კბილის საექიმო კაბინეთები
თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5 6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი
### დ. ჯავახიშვილი
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (ოიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი
### გ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკ სა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ № 32.

მს. ქალი ს. გ. შიუკლაშვილ-ახაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიული [illegible] ყოველდღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფებს [illegible] სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. ლის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, ჯანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
დოქტორ ა. მ. ლევენშტეინისა.
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპ ა გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
### გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი მ. ა. ზაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი
### ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი ბ. ზ. მუხაძე
იღებს სადღოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ბოლო [illegible] ექიმის სახ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible] ტელ. № 5—77.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
იღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ბარათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

## გამოცდილი მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს ორივე სქესისას. სპეციალურად ქართულსა და ისტორიაში. კოროლენკოს ქ. № 24. მიღება ნაშუადღევის 3—5 საათამდე. (2—1)

## სამკურნალოების მოსამსახურეთა
პროფესიონალური კავშირის გამგეობა აცხადებს და აძლევს ცნობას წევრებს, ვისაც არ შემოუტანია საწევრო ფული პირველ დღიდან კავშირში შემოსვლისა 6—7 თვის განმავლობაში წესდების ძალით გამორიცხულნი იქნებიან კავშირიდან გამგეობა სთხოვს წევრებს, რაც შეიძლება აჩქარ შემოიტანონ საწევრო ფული, არა უგვიანეს 20 ნოემბრისა, ვინც ამას არ შეასრულებს, 21 ნოემბრიდან გამორიცხული იქნებიან კავშირიდან. საწევრო ფულის შემოტანა შეიძლება გამგეობაში საღამოთი 6—8 საათამდე ყოფილ სასტუმრო „ბომონდში“ ელისაბედის და ნეკრასოვის ქუჩის კუთხე. (3—1)

გამგეობა.